პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (18550) სამშაბათი, 11 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება ყველას ვალია, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე 1983 წლის 10 იანვარს

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლანდელი შეხვედრა თქვენთან მეტად საგულისხმო და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. დღეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სახელგანთქმულ კოლექტივში თითქოსდა ფრთებს ისხამს ახალი პატრიოტული ინიციატივა **„სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“.**

ასეთი მიდგომით თვალნათლივ ვლინდება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისათვის დამახასიათებელი კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, კომუნისტური ცხოვრების წესი.

დიმიტროველთა ახალი ინიციატივის პრინციპულ მნიშვნელოვნად ისიც მიგვაჩნია, რომ იგი იშვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის დამთავრებისთანავე. მოგვიწოდა რა პლენუმზე მტკიცე ბრძოლა დაგვეწყო პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ასეთ მიდგომას მთლიანად დაუჭერენ მხარს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, ყველა საბჭოთა ადამიანი.

თბილისელმა ავიამშენებლებმაც მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მაგალითისამებრ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა საქმით დაუჭირეს მხარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს პრინციპულ გეზს, რითაც ცხადყვეს მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის მაგალითი.

ახალი ინიციატივის მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავს, რომ ჩვენი აზრით, იგი ყველაზე უკეთ შეესაბამება რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახლანდელი ეტაპის, საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს.

I.

სოციალისტური დისციპლინა უდიდესი მონაპოვარი და სიკეთეა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპების, პატიოსნების, სიმართლისა და სიკეთის იდეალების ნამდვილ გამარჯვებას. **რაც უფრო მაღალია სოციალისტური დისციპლინის დონე, მით უფრო ორგანიზებულად და შეთანხმებულად მიმდინარეობს მატერიალურ სიკეთეთა შექმნა და განაწილების პროცესი, ამით კი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული თითოეული პატიოსანი შრომელი.**

ადამიანთა მაღალი დისციპლინა, შეგნება, პოლიტიკური სიმწიფე შესაძლებლობას გვაძლევს გადავწყვიტოთ ნებისმიერი ამოცანა, დაეძლიოთ ყოველგვარი სიძნელენი. გაიხსენეთ, რა წარმოუდგენელი გაჭირვების პირობებში მოგვიწია სახალხო მეურნეობის აღდგენა, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელება. გაიხსენეთ მკაცრი ომის წლების გამოცდა, ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდი. გაიხსენეთ უამრი და კოსმოსი.

რა დაეხმარა საბჭოთა ადამიანებს წარმატებით განეხორციელებინათ ეს ურთულესი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ბევრს უბრალოდ დაუჯერებლად მიაჩნდა? რევოლუციური დისციპლინა და ორგანიზებულობა, სიმტკიცე და ვაჟკაცობა, მაღალი მორალური სულისკვეთება და ღრმა შეგნება, ჩვენი ლენინური პარტიის საქმის ერთგულება.

და როცა რესპუბლიკაში საჭირო გახდა დაგვეძლია ჩამორჩენა ეკონომიკაში, აღმოგვეფხვრა ნეგატიური მოვლენები, გაგვჯანსაღებინა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ჩვენ უყოყმანოდ მოვკიდეთ ხელი ისეთ ნაკად იარაღს პარტიის არსენალიდან, როგორიც დისციპლინაა. ამის სტიმული, როგორც მოგეხსენებათ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება იყო.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიაში, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში შეძენილია დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის მდიდარი და, შეიძლება ითქვას, უნიკალური გამოცდილება. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ამ ბრძოლის სათავეებთან **მის პირველ ეტაპზე,** თქვენმა კოლექტივმა თბილისელ ელმავალმშენებლებთან, კობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელებთან ერთად აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას. ამ წამოწყებებმა მტკიცე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი ჩაუყარა პარტიული და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების იტორიტეტის ამაღლებას, მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებაში რესპუბლიკის ჩამორჩენის დაძლევას, ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შეგნებაში გამაჯანსაღებელ გარდატეხას.

ეს ეტაპი ლოგიკურად შეაჯამა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ საქართველოს შესახებ. მთლიანად დადებითად შეაფასა რა შეძენილი გამოცდილება, პარტიამ ამ დოკუმენტში წამოაყენა ახალი, უფრო დიდი და რთული მოთხოვნები. ამ გადაწყვეტილებამ დასაბამი მისცა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში დისციპლინისა და წესრიგისათვის ბრძოლის მორიგ — **მეორე ეტაპს.**

და კვლავ მის ავანგარდში აღმოჩნდა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, მაჯერად რუსთაველ მეტალურგთა სახით, რომლებმაც გამოიჩინეს თაოსნობა **„ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“,** ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა სახით, რომლებმაც გადაწყვიტეს ემუშავათ **ჩამორჩენილი კოლექტივების გარეშე.**

დღეს ყველანი ვხდებით იმის მოწმე, თუ როგორ მწიფდება მთელ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოშიც, სანიმუშო სოციალისტური დისციპლინისათვის მობრძოლობის **ახალი ეტაპი.** და უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, განვსაზღვრავდეთ შემდეგი მუშაობის გზებს, მოვეკიდათ თქვენთან — ჩვენს ერთგულ დასაყრდენთან — მუშათა კლასთან, თქვენთან, ძვირფასო ამხანაგებო, მოსათათბირებლად, რათა დაწვრილებით ჩაგაბაროთ ანგარიში იმის შესახებ, რაც უკვე გააკეთა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ვილაპარაკოთ მიღწეულებსა და ნაკლოვანებებზე, საჭიროროტა პრობლემებზე.

დისციპლინის განმტკიცებაში, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაში მთავარი მონაპოვარი გახდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მწყობრი სისტემა. მას საფუძვლად უდევს ყველაზე აქტიურალური მიმართულებებით მეცადინეობის კოლექტიურიანი მეთოდი, რაც გამოიხატა სხვადასხვა საპრობლემო კომისიის სამუშაო ჯგუფის, საბჭოს, შტაბისა და სხვათა შექმნით, რომლებიც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გაძლიერების ერთ-ერთი ქმედითი ფორმა გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის VIII პლენუმის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებასთან განყოფილებათა გამგეების მეთაურობით ჩამოყალიბდა დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიები. შემდგომ მათი საქმიანობის უკეთესი კოორდინაციისათვის შეიქმნა დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სპეციალური სამუშაო ჯგუფი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. გ. ვ. კოლბინის ხელმძღვანელობით. დიდ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის გაუმჯობესებისა და კადრების დენადობის შემცირების შტაბები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური სამუშაო ჯგუფები, კომისიები, საკოორდინაციო საბჭოები, შტაბები შექმნილია საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, სამინისტროებსა და უწყებებში, პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, შრომითის კოლექტივებში.

ძალების თავმოყრისას საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ, კონკრეტულად რას უნდა მოხმარდეს ისინი. ამაში გვეხმარება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომებზე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგების ყოველთვიური შეჯამების პრაქტიკა. ამგვარ მუშაობას უწევიან მართვის სხვა რგოლებშიც. ჩვენ ნიადაგ ვაფასებთ და ვაღრმავებთ მას.

აგერ უკვე მეექვსე წელია რესპუბლიკაში დანერგილია ყოველკვარტალური დარეგულირებული და რეგიონალური სტატისტიკური ანგარიშგება სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას ემსახურება ხელმძღვანელთა პარტიული აქტაცია, კადრებთან მუშაობის სხვა საინტერესო ფორმები.

ყოველგვარი დარღვევის დროული გამოვლენისა და პროფილაქტიკისათვის დიდ შესაძლებლობებს გვიხსნიან დისციპლინისა და მართლწესრიგისადმი კონტროლის სისტემა, რომელიც შექმნილია თელავის რაიონში, სადაც პარტიის რაიკომი ნიადაგ უწევს კოორდინაციას ყველა საგეგმო, საფინანსო, სტატისტიკური, ადმინისტრაციული და სხვა შემმოწმებელი ორგანიზაციების საქმიანობას.

დიდი ყურადღება ეთმობა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების, მთელი ჩვენი პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, მუშაკთა კომპეტენტურობის, პასუხისმგებლობის, შემსრულებლობისა და ოპერატიულობის ამაღლებას. ამ საკითხს წლის დამდეგისას რეგულარულად ვიხილავთ ხოლმე ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე. სწორედ მას მიეძღვნება ჩვენი მორიგი პლენუმიც.

მთლიანად სისტემურმა მიდგომამ სასიკეთო გავლენა მოახდინა ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროზე და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ამას ხაზი, როცა მარშან ივლისში მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

როცა მოსკოვში ამ სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას სიამაყით აღვნიშნეთ, განვლილი ათწლეულის ყოველი წელი საბჭოთა საქართველოსათვის წითელდროშოვანი იყოო, არ დაგვიფარავს, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის ყველა მიღწევას, ყველა წარმატებას საფუძვლად უდევს კრიტიკა და თვითკრიტიკა, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება.

ჯერ ერთი, დავრწმუნდით, რომ დისციპლინა **ეკონომიკური პოტენციალის** გადიდების მძლავრი საშუალებაა. 1972 წელთან შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების მოცულობანი პრაქტიკულად გაორკეცდა. ერთიორად გაიზარდა ძირითადი მიღწეონ მის უმაღლეს დონეს თითოეულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, თითოეულ რგოლში, ყოველ სამუშაო ადგილას.

მტკიცე დისციპლინის აუნაზღაურებელი, როგორც ჩვენი ქარხნის გამოცდილება მოწმობს, ეფექტიანი მაღალნაყოფიერი შრომის ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფაა. დისციპლინის დონე გამოიხატება წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, მატერიალური რესურსების ეკონომიური ხარჯვით, მინდობილი საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით. ჩვენი საწარმოს ყველა სამსახური, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლექტივის ნორმალურ მუშაობას, ყოველ დღეს იხმარენ, რათა თითოეულ მუშაკს ჰქონდეს თავისი ძალების, ენერგიის, უნარის სრული გამოვლენის შესაძლებლობანი, რათა დღენიადაგ გადაჭარბებით ასრულებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებებს, ზუსტად იცავდნენ პროდუქციის მიწოდების ვადებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების მიხედვით. პირობას ვდებთ შევასრულოთ ეს და რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს მოვუწოდებთ უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი შემოქმედებითი შრომა, მისი მაქსიმალურად მაღალი შედეგიანობა.

მტკიცე, შეგნებული დისციპლინა მუშაკთა კოლექტივის პოლიტიკური შეგნების, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოხატულებაა. ჩვენ ვიცხადებთ, რომ განუწყვეტლივ შევამცირებთ ქარხნის მუშაკთა მიერ დაშვებული მართლწესრიგის, სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმების დარღვევების რიცხვს, რომ შეკავშირების, ძმობისა და ინტერნაციონალიზმის ატმოსფერო ეფექტიან გავლენას მოახდენს თითოეულის შრომის შედეგებზე. ვალდებულებას ვკისრულობთ რა შევასრულოთ ეს, მოვუწოდებთ რეს-პუბლიკის მშრომელთა კოლექტივებს ამრავლონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებანი, რათა თითოეული ადამიანი ცდილობდეს იყოს დისციპლინის, მაღალი კულტურისა და ზნეობის მაგალითი.

მტკიცე სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლა ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატულებაა. როცა ვამტკიცებთ დისციპლინას ჩვენს კოლექტივში, ამავე დროს ვცდილობთ მისი თითოეული წევრი აღვზრდოთ ყველგან და ყველაფერში ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გადავაქციოთ იგი ცხოვრების ყველა დარგში ნეგატიური მოვლენების ამოძირკვისათვის აქტიურ მებრძოლად. სწორედ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგებში ცალკეულ მუშაკთა უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი, არაკომპეტენტურობა და გულგრილობა ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში, მათს აღზრდაში ხელს გვიშლიან მუშობასა და უკეთ ცხოვრებაში. ამასთან შერიგება არ გვინდა და არც შევურიგდებით, რამეთუ ყველგან დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა არის სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების უცილობელი ფაქტორი, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის, თითოეული საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის წყაროა; ყველაფერში დისციპლინა და წესრიგი — ეს არის ახალგაზრდა თაობის სათანადო ზნეობრივი ჩამოყალიბების, მათთვის და, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისათვის სოციალისტური ცხოვრების წესის შესაბამისი მოთხოვნილებების ჩანერგვის, კომუნისტური მშენებლობის საქმის, დიდი ლენინის საქმის ღირსეულ გამგრძელებელთა ცვლის ჩამოყალიბების პირობა.

ღრმად გვაქვს რა შეგნებული ყოველივე ეს, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მშრომელს, თითოეულ თქვენგანს, ამხანაგებო, აწარმოოთ ყველაზე გადამწყვეტი ბრძოლა მაღალი ორგანიზებულობისათვის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობისათვის, თითოეულ სამუშაო ადგილას, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო დისციპლინისათვის. ეს არის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული ჩვენ წინაშე დასაბული უდიდესი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მთავარი პირობა. ჩვენ ვიცით, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ აუცილებლად გადაწყვეტთ მათ, გადაუწყვეტთ საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის, თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისათვის!

სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ დღეებში, როცა მთელმა საბჭოთა ხალხმა დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის ამოცანების გადაწყვეტა, როცა ყველგან ჯამდება განვლილი გზის შედეგები და განისაზღვრება წინსვლის ახალი მიჯნები, თითოეული ჩვენგანი აანალიზებს თავის წვლილს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებასა და აყვავებაში, ეძიებს პარტიის მიერ დასახული დიდებული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტის უფრო ეფექტიან გზებსა და საშუალებებს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა 1982 წელი — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელი დაამთავრა ახალი წარმატებებით შრომაში, ახალი მიღწევებით შეჯიბრებაში დევიზით „ხაუკეთესო — დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში!“ ჩვენ სტაბილურად ვასრულებთ დაძაბულ საგეგმო დავალებებს, ნაკლებ სოციალისტურ ვალდებულებებს, მნიშვნელოვნად გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება, მივაღწიეთ მატერიალური და შრომითი რესურსების, სამუშაო დროის ეკონომიურ გამოყენებას.

ეს შრომისა და საწარმოო დისციპლინის, შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი მუდმივი ყურადღების, საწარმოს მთელი მუშაობის შედეგია. დისციპლინის განმტკიცებისათვის ინიციატივის განხორციელებამ, რომელიც 10 წლის წინათ გამოვიჩინეთ, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა კოლექტივის საქმიანობაზე.

ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტია თანმიმდევრულად და მიზანდასახულად ახორციელებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პროცესში რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ყოველმხრივი გაჯანსაღების, მუშაობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრების კურსს.

მაგრამ კრიტიკულად ვიფასებთ რა მიღწეულს, ნათლად ვხედავთ, რომ ქარხანაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ბევრი შესაძლებლობაა, არის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები ყოველ სამუშაო ადგილას. ჩვენ აგრეთვე ნათლად გვესმის, რომ მათი მოლიანად გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ კიდევ უფრო განვამტკიცებთ შეგნებულ დისციპლინასა და ორგანიზებულობას მუშობაში, თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანთ მათთვის ბრძოლას.

ჩვენს კოლექტივში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, მთლიანად დაუჭირეს მხარი და ერთხმულად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მითითებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ ვაწარმოოთ ბრძოლა დისციპლინის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ, გავაძლიეროთ თითოეულის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის სიტყვები, რომ „რაც უფრო კარგად ვიშრომებთ, მით უფრო უკეთ ვიცხოვრებთ“, ზუსტად გასაზღვრავს შრომის დისციპლინის, სოციალისტური ცხოვრების წესის არსსა და მნიშვნელობას. ჩვენს გულში მხურვალე გამოხმაურება პოვა მოსკოველთა ინიციატივამ „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით!“, რომელიც მოგვიწოდებს მტკიცე დაბრკოლება აღვუმართოთ არაორგანიზებულობას, უდისციპლინობას. ეს არის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ახალი, უფრო მაღალი მიჯნების მიღწევის მოავარი საშუალება.

როცა საამქროების მუშათა კრებებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები განვიხილეთ, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების გზების განსაზღვრას. და დღეს, ჩვენი საწარმოს კოლექტივის კრებაზე, ამან თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა მუშათა კლასის, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წარმომადგენლების გამოსვლებში. მთლიანად აღმოფხვრით გაცდენები და დაგვიანებები, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ სამუშაო დროის თითოეული წუთი, მინიმუმამდე შევამციროთ კადრების დენადობა, შეეკმნათ შეურიგებლობის ატმოსფერო სოციალისტური შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევის მიმართ — ასეთი მიზანი დავისახეთ ჩვენ. ვალდებულებას ვკისრულობთ რა ყველაფერი ვიღონოთ მისი განხორციელებისათვის, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა კოლექტივს, ყველა მშრომელს, ყოველნაირად განამტკიცონ შრომის დისციპლინა, მიაღწიონ მის უმაღლეს დონეს თითოეულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, თითოეულ რგოლში, ყოველ სამუშაო ადგილას.

მტკიცე დისციპლინის აუნაზღაურებელი, როგორც ჩვენი ქარხნის გამოცდილება მოწმობს, ეფექტიანი მაღალნაყოფიერი შრომის ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფაა. დისციპლინის დონე გამოიხატება წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, მატერიალური რესურსების ეკონომიური ხარჯვით, მინდობილი საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით. ჩვენი საწარმოს ყველა სამსახური, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლექტივის ნორმალურ მუშაობას, ყოველ დღეს იხმარენ, რათა თითოეულ მუშაკს ჰქონდეს თავისი ძალების, ენერგიის, უნარის სრული გამოვლენის შესაძლებლობანი, რათა დღენიადაგ გადაჭარბებით ასრულებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებებს, ზუსტად იცავდნენ პროდუქციის მიწოდების ვადებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების მიხედვით. პირობას ვდებთ შევასრულოთ ეს და რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს მოვუწოდებთ უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი შემოქმედებითი შრომა, მისი მაქსიმალურად მაღალი შედეგიანობა.

მტკიცე, შეგნებული დისციპლინა მუშაკთა კოლექტივის პოლიტიკური შეგნების, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოხატულებაა. ჩვენ ვიცხადებთ, რომ განუწყვეტლივ შევამცირებთ ქარხნის მუშაკთა მიერ დაშვებული მართლწესრიგის, სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმების დარღვევების რიცხვს, რომ შეკავშირების, ძმობისა და ინტერნაციონალიზმის ატმოსფერო ეფექტიან გავლენას მოახდენს თითოეულის შრომის შედეგებზე. ვალდებულებას ვკისრულობთ რა შევასრულოთ ეს, მოვუწოდებთ რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებს ამრავლონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებანი, რათა თითოეული ადამიანი ცდილობდეს იყოს დისციპლინის, მაღალი კულტურისა და ზნეობის მაგალითი.

მტკიცე სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლა ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატულებაა. როცა ვამტკიცებთ დისციპლინას ჩვენს კოლექტივში, ამავე დროს ვცდილობთ მისი თითოეული წევრი აღვზრდოთ ყველგან და ყველაფერში ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გადავაქციოთ იგი ცხოვრების ყველა დარგში ნეგატიური მოვლენების ამოძირკვისათვის აქტიურ მებრძოლად. სწორედ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგებში ცალკეულ მუშაკთა უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი, არაკომპეტენტურობა და გულგრილობა ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში, მათს აღზრდაში ხელს გვიშლიან მუშობასა და უკეთ ცხოვრებაში. ამასთან შერიგება არ გვინდა და არც შევურიგდებით, რამეთუ ყველგან დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა არის სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების უცილობელი ფაქტორი, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის, თითოეული საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის წყაროა; ყველაფერში დისციპლინა და წესრიგი — ეს არის ახალგაზრდა თაობის სათანადო ზნეობრივი ჩამოყალიბების, მათთვის და, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისათვის სოციალისტური ცხოვრების წესის შესაბამისი მოთხოვნილებების ჩანერგვის, კომუნისტური მშენებლობის საქმის, დიდი ლენინის საქმის ღირსეულ გამგრძელებელთა ცვლის ჩამოყალიბების პირობა.

ღრმად გვაქვს რა შეგნებული ყოველივე ეს, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მშრომელს, თითოეულ თქვენგანს, ამხანაგებო, აწარმოოთ ყველაზე გადამწყვეტი ბრძოლა მაღალი ორგანიზებულობისათვის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობისათვის, თითოეულ სამუშაო ადგილას, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო დისციპლინისათვის. ეს არის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული ჩვენ წინაშე დასახული უდიდესი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მთავარი პირობა. ჩვენ ვიცით, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ აუცილებლად გადაწყვეტთ მათ, გადაუწყვეტთ საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის, თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისათვის!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს

გუსტავ ჰუსაკს

ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან და გულითადად გილოცავენ თქვენ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება ნახევარი საუკუნეა განუყოფელად არის დაკავშირებული ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიასთან, სოციალიზმისა თ ვ ი ს ბრძოლის საქმესთან. თქვენმა აქტიურმა როლმა სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებაში, დაუცხრომელმა მოღვაწეობამ სახალხო ხელისუფლების დამკვიდრებისათვის, ღვაწლმა სოციალისტური მონაპოვრების დაცვასა და მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის განმტკიცებაში, პირადმა წვლილმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის ხელმძღვანელობითაც მიღწეულია დიდი წარმატებები ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე სოციალიზმის მშენებლობაში, მოგიპოვთ თქვენ საბჭოთა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემა და მაღალი ავტორიტეტი.

ჩვენს ქვეყანაში კარგად გიცნობენ თქვენ როგორც საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობარს, მტკიცე, თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტს, საბჭოთა კავშირისა და შომშე ჩეხოსლოვაკიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

ჩვენს ღრმა პატივისცემას იწვევს თქვენი ბოლოვაწეობა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების, ქვეყნად მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ, ჯანმრთელობას, შემოქმედებითს ძალებს, ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ გუსტავ ჰუსაკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურებისა და მამაცობისათვის, სა

სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება ყველას ვალია, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი!

(გაგრძელება)

სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შესყიდვა, დავიწყეთ 1,6-ჯერ მეტი კაპიტალდაბანდების ათვისება. ქვეყნის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში საქართველოს სს რესპუბლიკის წილი 1,3-დან 1,6 პროცენტამდე გაიზარდა. ეს, ამხანაგებო, სოლიდური ზრდაა.

ამ საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ 10 წლის მანძილზე სამუშაო დროის დანაკარგები თითქმის ერთიორად შემცირდა, მათ შორის გაცდენები — 2,3-ჯერ. ეს კი, გაანგარიშების თანახმად, შესაბამისად 427 და 178 მილიონი მანეთის დამატებითი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას უდრის.

1972 წელს საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულა ყოველმა მეოთხე სამრეწველო საწარმომ, რის შედეგადაც სახელმწიფოსათვის დაკლებული პროდუქციის მოცულობამ 230 მილიონ მანეთს გადააჭარბა. შემდგომში საგეგმო დისციპლინის განმტკიცების ყოველმხრივ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შევძელით მიმდინარე ათწლეულში თავიდან აგვეცილებინა 1,9 მილიარდი მანეთის პროდუქციის ზარალი და შეგვეძინა 1,2 მილიარდი მანეთის ზეგეგმით ნაწარმის გამოშვების პირობები. ასეთია მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის კონკრეტული მატერიალური გამოხატულება.

მტკიცე დისციპლინამ, ნამდვილმა თავდადებამ რესპუბლიკის მშრომელებს საშუალება მისცა წარმატებით დაემთავრებინათ მიმდინარე წელიც, რომელიც უმაგალითოდ რთული გამოდგა ამინდისა და სამეურნეო პირობების გამო. ჩვენმა მრეწველობამ წლის გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა, ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგების მიხედვით, 109 პროცენტის ნაცვლად 109,4 პროცენტი შეადგინა.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმ საგანგებო ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც განახორციელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, შრომითმა კოლექტივებმა, ცალკეულ რეგიონებსა და რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს მიეცათ დაძაბული დამატებითი დავალებანი, რომლებსაც ბევრმა მთგანმა თავი გაართვა. ნამდვილად დამკვრელური შრომით არსებითი წვლილი შეიტანეს დემიტროფელებმაც.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დისციპლინას შეუძლია და კიდევ უნდა უზრუნველყოფდეს დამატებითს პროდუქციას, მაღალ შრომისნაყოფიერებასა და რენტაბელობას, ხელფასის ზრდას, საყოველთაო კეთილდღეობას.

მეორე, რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა ძირეული **სოციალური ძვრები,** რომლებმაც ხელი შეუწყო მორალური კლიმატის მკვეთრ გაჯანსაღებას.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღმზრდელობითს მუშაობას თავიდანვე განვამტკიცებდით ორგანიზაციული ხასიათის კონკრეტული ღონისძიებებით. მაგალითად, როცა მოვითხოვდით ადამიანებს პატივი ეცათ შრომისათვის, ჩვენ ამავე დროს ვქმნიდით ახალ სამუშაო ადგილებს და ათწლეულის მანძილზე საზოგადოებრივ წარმოებაში ნახევარ მილიონამდე კაცი ჩავაბით.

ინდუსტრიული პოტენციალის განუხრელმა ზრდამ, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მომხდარმა პროგრესულმა ძვრებმა, სხვა დარგების განვითარებამ საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა მუშათა კლასის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში.

ძირეული ძვრები მოხდა ჩვენი სოფლის ცხოვრებაშიც, ჩვენი კოლმეურნე გლეხობის შეგნებაში.

სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს შედეგად მიგვაჩნია ჩვენი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლება, მისი დაინტერესებული მონაწილეობა რთული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში, იდეოლოგიურ მუშაობაში. **უდიდესი ჩვენი ინტელიგენციის დამსახურება იმაში, რომ რესპუბლიკაში კვლავ ამაღლდა წარუვალი ზნეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების ფასი, ყველგან მტკიცედ მკვიდრდება კომუნისტური მორალის ნორმები.**

და ბოლოს, **მესამე,** დისციპლინის განმტკიცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის მუშაობა ხელს უწყობდა რესპუბლიკაში სასაკეთო **პოლიტიკური ატმოსფეროს** შექმნას.

უწინარეს ყოვლისა, ეს გამოიხატა იმით, რომ შესამჩნევად გაფართოვდა შინაპარტიული დემოკრატია, და საერთოდ, სოციალისტური დემოკრატია, ამაღლდა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების პოლიტიკური ავტორიტეტი, გაიზარდა შრომელთა აქტიურობა. ადამიანები ჩვენთან მოდიან გულღიად, დიდი ნდობით, ვადიოარებენ სანუკვარ აზრებს, საქმიან წინადადებებს.

დღეს რესპუბლიკა დარაზმულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე წამოყენებული ახალი რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის. ეს კარგად ჩანს თქვენი ქარხნის კოლექტივის მაგალითითაც.

ფლაგმანის გამოცდილება, ჩვეულებრივ, როგორც წვეთი წყალი, ასახავს მთელი რესპუბლიკის გამოცდილებას. და შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში თქვენს ქარხანაშიც ჩამოყალიბდა დისციპლინის მართვის საკმაოდ გააზრებული სისტემა. მან შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, რაც კი შექმნილა სხვა საწარმოებში, სადაც წესად იქცა დისციპლინის შესახებ ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშები და თათბირები, მოქმედებენ მუშური სინდისის, მუშთა დინამიებისა და დამრიგებლების საბჭოები, დაწესებულია აღმზრდელობითს მუშაობაში ხელმძღვანელთა მოადგილეების თანამდებობა. შრომის დისციპლინის დამრღვევებისადმი აქტიურად იყენებენ მორალურ და მატერიალურ სანქციებს. და პირიქით, წარმოების საუკეთესო მუშაკთა გამოცდილება მთელი კოლექტივის კუთვნილება ხდება.

ამგვარი სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტები წარმატებით დაინერგა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პირობებშიც. მნიშვნელოვანი ავტორიტეტი მოიპოვეს პროფკომატიკის საბჭოებმა, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის, დათხოვნების კომისიებმა და ა. შ. დისციპლინის განმტკიცებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი, სახალხო კონტროლის საგუშაგოები, აღმინისტრაცია. დარღვევათა ფაქტები შეაქვთ შიგასაქარხნო ანგარიშგებაში და აღინიშნება მუშაკთა პირად საქმეებში.

ყოველივე ამან საგრძნობი ძვრები გამოიწვია. შემცირდა გაცდენები, შესამჩნევად იკლო კადრების დენადობამ.

საინტერესოა ისიც, რომ უკანასკნელ საქართნო საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე ჩვენი შეხვედრის შემდეგ თქვენთან შრომის დისციპლინის მართვის სისტემის პარალელურად შეიქმნა 17 ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის კონტროლის სისტემაც. იგი მინიატურაში იმეორებს საერთო-რესპუბლიკურ სქემას. შეიქმნა ოთხი სამუშაო ჯგუფი, რომელთა საქმიანობას წარმართავს და აწესრიგებს საერთო-საქართნო კომისია.

სისტემურმა მიდგომამ აქაც საგრძნობი შედეგები მოგვცა, ყოველი თქვენგანი, ალბათ ხედავს ამას. ქარხანა შესამჩნევად გაიზარდა. წარმოებაში მოხდა პრინციპული თვისებრივი ცვლილებანი და სტრუქტურული ძვრები. გაიზარდა მისი ეფექტიანობა.

არადა, სულ ახლახანს თქვენ გკონდათ სერიოზული ხარვეზები, იყო ისეთი პერიოდიც, როცა ქარხნის ლიდერის როლს მიაკუთვნებდნენ უფრო მეტად ჩვეულების, ვიდრე დამსახურების მიხედვით. ჩვენ მაშინ ქარხნის პრობლემები ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დონეზე განვიხილეთ. როცა ყოველივე ამას ადარებ დღევანდელ დღეს, ნათლად ხედავ, რა უდიდეს შესაძლებლობებს სახავს დისციპლინის, ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის დონის ამაღლება.

განმტკიცდა საწარმოს ეკონომიკური ბაზა. მაგალითად, ერთი მომუშავის გამომუშავება უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რამდენჯერმე გაიზარდა. მნიშვნელოვნად შემცირდა შიგასაწარმოო წუნი და ეს მაჩვენებელი ახლა ორჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ დარგში. უზრუნველყოფილია მთლიანად რენტაბელური მუშაობა. ყოველივე ამან გააფართოვა მუშაკთა მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობანი. მაგალითად, წარმოების მუშათა საშუალო ხელფასი 1,5-ჯერ გადიდდა, ხოლო მეცამეტე ხელფასის გაცემა — 2,3-ჯერ. ყოველი თქვენგანი გრძნობს ამას საკუთარი მაგალითითაც.

ახლა არ იტყვით, როგორ იცვალა სახე ქარხანამ და მთელმა მისმა მიკროორგანიზმმ! მარტო წელს ქარხნელები მიიღებენ 20 ათას კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართობს, ეს კი ერთისამად მეტია, ვიდრე 1972 წელს. ამასთან ჩვენ, რა თქმა უნდა გვესმის, რომ ბინის პრობლემა თქვენთან ჯერ კიდევ მწვავედ დგას. მწყობრში დგება ახალი საწარმოო ფართობები. ქარხნის დამხმარე მეურნეობა, ჩვენი აზრით, შეიძლება რეაბილიტაციის ბევრი სხვა საწარმოსათვის სანიმუშო იყოს. ვფიქრობ, კოლექტივის თითოეული წევრი თავად გრძნობს ამას.

დღეს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების, ფონდუკუნგების ზრდის, შრომატევადობის შემცირების ტემპი, მრავალდაზგოსანთა ხვედრითი წონა, შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმაზე მუშათა გადაყვანა, ქარხანამ გადააჭარბა საშუალო დარგობრივ დონეს. სწორედ ამან შექმნა საფუძველი, წამოგიყენებინათ დევიზი „თითოეული საწარმო — საუკეთესოთა შორის დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში", რომელსაც მიმდინარე ხუთწლედში აქტიურად დაუჭირეს მხარი ბევრი საწარმოს, მეურნეობის, სამინისტროსა და უწყების კოლექტივებმა.

საქმის უნარიანი ორგანიზაციის, მაღალი დისციპლინისა და პასუხისმგებლობის უპირატესობაში მარტო დიმიტროველები როდი დარწმუნდნენ. გორის რაიონის ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის შრომელებმა, რომლებმაც თავის დროზე როგორც მოგახსენეთ, აგრეთვე წამოიწყეს მოძრაობა მაღალი დისციპლინისათვის, ბოლო ათი წლის მანძილზე რვაჯერ გაზარდეს სახელმწიფოსათვის ხილის მაყიდვა. მეურნეობის რენტაბელობა 24-დან 62 პროცენტამდე გადიდდა. ოთხჯერ გაიზარდა ერთი კაცდღის ანაზღაურება, 1,5-ჯერ — თითოეული კოლმეურნის გამომუშავება. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ეს მონაცემები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმზე.

უკვალოდ არ ჩაუვლია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების დარგში მუშაობას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისთვისაც. იოლი როდი იყო მთელი ეს წლები ჩამორჩენილთა და უდისციპლინოთა გარეშე მუშაობისათვის. ერთ-ერთი ინიციატორისათვის. წარმოიშვა ბევრი ობიექტური მიზეზი, რომელთა გამოც ზოგ საწარმოს შეიძლებოდა საერთოდ დაეკარგა თავისი სახე. მაგრამ რუსთაველმა მეტალურგებმა ყველა სიძნელეს ორგანიზებულობა დაუპირისპირეს და მაღალი დისციპლინის მეოხებით მინიმალური დანაკარგებით დაძლიეს ბევრი მთგანი. და თუ დღეს მთლიანად შევაფასებთ ტენდენციებს, რომლებიც იქმნებოდა ქარხანაში ბოლო ათი წლის მანძილზე, უთუო პოზიტიურ ძვრებს დავინახავთ.

კოქსისა და თუჯის წარმოება შესაბამისად 30,3 და 20 პროცენტით გაიზარდა. მეტალურგები დღეს ამზადებენ 15 პროცენტით მეტ ნაგლინსა და 19,9 პროცენტით მეტ მილებს, ვიდრე 10 წლის წინათ, 1,3-ჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გამცდენთა რიცხვი 5-ჯერ შემცირდა, ხოლო გაცდენებით გამოწვეული დანაკარგები — 2,5-ჯერ, 1,4-ჯერ გადიდდა ხელფასი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ **დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, კომუნისტთა ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები ბოლო 10 წლის მანძილზე მუდამ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია.**

და მაინც, ამხანაგებო, ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ. ასეთია დროის ობიექტური მოთხოვნა, და ჩვენი მშრომელების უმრავლესობას კარგად ესმის ეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ფორმირების ცენტრის თანამშრომლების მიერ თქვენს საწარმოში მოწყობილმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გვიჩვენა: გამოკითხული ამხანაგების დიდ უმრავლესობას (93,5 პროცენტი) მიაჩნია, რომ ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული მოთხოვნა — ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა — უაღრესად მომწიფებული, აქტუალური, ცხოვრებით ნაკარნახევი მოთხოვნაა. თითქმის ყველა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ **შრომის დისციპლინის განმტკიცება მუშათა კლასის ღირსებისა და სინდისის საქმეა.**

ანალოგიური ატმოსფერო სუფევს დღეს ბევრ საწარმოში, ბევრ პარტიულ ორგანიზაციასა და შრომითს კოლექტივში. ვიცით, რომ ჩვენი შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობაც განზე არ განუდგა, ყველგან და ყველაფერში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საქმეს. სოფლად ახალი მოძრაობის ინიციატორია უკვე ნახსენები გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა. პარტიულ კომიტეტთან შექმნილმა კომისიებმა კონტროლი დაუწესეს არა მარტო ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, კოლმეურნეობის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს, არამედ აგრეთვე საწარმოო საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებული ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობისა და სხვა დაწესებულებების მუშაობას.

ტყვიაველთა მიერ შექმნილი სისტემა ითვალისწინებს დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი დარღვევის გადაჭრით აღკვეთას, ამასთან თავისი დაუდეგარი წევრის გამო ოჯახის მორალ ურ და მატერიალურ პასუხისმგებლობასაც კი. ეფიქრობ, ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ ტყვიაველი ამხანაგებისაგან. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ სასურსათო პროგრამა, რომელსაც კოლმეურნეობა ახორციელებს, ითვალისწინებს ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ერთიორად გაზრდას. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტყვიაველთა ინიციატივა სოფლად მაღალი სოციალისტური დისციპლინისათვის მოძრაობის ახალი ეტაპია.**

დიდ ინიციატივას იჩენენ რესპუბლიკის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რასაც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამ დღეებში სანიმუშო დისციპლინის, მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობისათვის მოძრაობაში ჩაება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლების მანძილზე ჩვენი განათლების სისტემაში არსებითი დადებითი ძვრები მოხდა. აკადემიური წარმატება უმაღლეს სასწავლებლებში ათი წლის განმავლობაში 74,4 პროცენტიდან 86,9 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებებზე თითქმის გაორმაგდა. სკოლებში, ტექნიკურ და პროფტექნიკურ სასწავლებლებში უზრუნველყოფილია პრაქტიკულად ასპროცენტიანი წარმატება. საშუალოდ დაახლოებით ერთიორად შემცირდა არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენა ყველა სასწავლებელში.

როცა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობის ამაღლებისათვის მუშაობას ავითარებენ და აღრმავებენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები ცდილობენ უკეთ დაუკავშირონ იგი ორგანიზაციულ ღონისძიებებს უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ კიდევ უფრო სრულვყოთ მთლიანად ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, უფრო ორგანიზებულად და ბეჯითად ვაზიაროთ სტუდენტები მეცნიერებს, შემოქმედებას. უფრო აქტიურად ჩავაბათ ყველა პროფესორი და მასწავლებელი სამეცნიერო საქმიანობაში, ავამაღლოთ მათი კომპეტენტურობა, შევქმნათ უმაღლეს სასწავლებელში მაღალი ზნეობის ატმოსფერო. **ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ დავუკვირდეთ დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობა მაღალკვალიფიციური, იდეურად მოწიფებული სპეციალისტის მომზადების ინტერესებს.**

ბევრი სიახლეა სხვა კოლექტივებშიც. ამას ყოველდღე საინტერესო ფორმით აშუქებს ჩვენი პრესა, ტელევიზია და რადიო. მათ პირველებმა შენიშნეს, მე ვიტყოდი, „აღმოაჩინეს" და მხარი დაუჭირეს თბილისელ ავიამშენებელთა ინიციატივას.

განსაკუთრებით. დაგვახსომდა ყველას ქარხნისადმი, მისი ისტორიისა და დღევანდელობისადმი მიძღვნილი სპეციალური ტელეგადაცემა. უყურებ კადრებს, რომლებზეც აღბეჭდილია ქარხნის დამონტაჟების ეპიზოდები მძიმე ომის დროს, და რწმუნდები, რომ უმკაცრესი დისციპლინისა და სიფხიზლის, მაღალი ორგანიზებულობისა და შეგნების პრინციპები ფუძემდებელი გახდა დიმიტროველთა კოლექტივისათვის პირველი დღეებიდანვე.

ჩვენი აზრით, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა კლასმა თავისი შრომით, თავისი კეთილი ტრადიციებით, მაღალი მორალურ-პოლიტიკური და საქმიანი თვისებებით ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის სხვა საწარმოებთან ერთად სოციალისტური დისციპლინისათვის ბრძოლაში ახალი ფურცლის დაწერების საპატიო უფლება.

II.

ახალ პირობებში, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო კომუნისტური წესრიგისათვის ბრძოლის მორიგ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **კომპლექსურ კომპლექსურ მიდგომას დისციპლინის განმტკიცების პრობლემებისადმი.**

შეიძლებელია, მაგალითად, ეს მუშაობა განვიხილოთ **სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას** მოწყვეტით. დისციპლინა საწარმოში კი განყენებული ცნება როდია, იგი გულისხმობს გეგმის სანიმუშო შესრულებასაც, რიტმულ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასაც, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებასაც, კარგ ფინანსურ მდგომარეობასაც, ბევრ სხვა რამესაც, სწორედ ამიტომ **საჭიროა უწინარეს ყოვლისა დისციპლინა,** ისევე როგორც ყველა სხვა ბერკეტი, წარვმართოთ მაღალი საბოლოო საწარმოო შედეგების მისაღწევად.

დისციპლინას უნდა მივიჩნევდეთ წარმოების ორგანიზაციის მთელი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად. განა არ შეიძლება, მაგალითად, დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობა დავუკავშიროთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ბრიგადული ფორმის დანერგვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების, მომეჩინოთის მკაცრი რეჟიმისა და აგროტექნიკის სანიმუშოდ დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს და ა. შ.

მეცადინეობის კონკენტრაციის მეთოდით ჩვენი მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ სწორედ ასე და მხოლოდ ასე უნდა ვუდგებოდეთ ამ უმნიშვნელოვანეს საერთო-პარტიულ და საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეს. **უნდა მივაღწიოთ, რომ სანიმუშო შრომას დისციპლინა ეფუძნებოდეს წარმოებისა და მიწათმოქმედების საერთო მაღალ კულტურას, მიზნად ისახავდეს მაქსიმალური საბოლოო შედეგის მიღწევას.**

ამიტომ არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმან, რომ გასული წლის მარტო ცხრა თვეში რესპუბლიკის მრეწველობაში დაიკარგა ასიათასობით კაცდღე- გაცდენების, მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო ყოველდღე საშუალოდ არ მუშაობდა რამდენიმე ათასი კაცი, არადა ეს ხომ მსხვილი საწარმოსა თუ გაერთიანების მოცდენის ტოლფასია.

როგორც სტატისტიკა მოწმობს, შესაბამის აღმზრდელობითს მუშაობას ცუდად ეწევიან საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში, ხილბოსტნეულის სამინისტროში, მშენებლობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებში. სამუშაოს ზმირად აცდენენ ერთი და იგივე პირები. მაგალითად, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატში ცხრა თვეში დაიკარგა დაახლოებით 1600 კაცდღე, დასკვნა კი არავინ დაუსკიათ. მაშ, რა მომთხოვნელობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

ანდა აკიოოთ **საგეგმო დისციპლინა.** განა შეიძლება მშრომელებს მოსთხოვო მაღალი უკუგება, თუ მარტო შარშან ცხრა თვეში ზოგიერთი საკავშირო სამინისტროს მიზეზით რესპუბლიკის მრეწველობაში საგეგმო დავალებანი 492-ჯერ შეიცვალა შემცირების მიზნით, ხოლო ამ მიზეზით დაკლებული პროდუქციის მოცულობამ 384 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 200 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქციაა დაკლებული ამავე პერიოდში ასორტიმენტის გეგმის დარღვევის გამო. მინდა, რომ მუშათა კლასმა იცოდეს ჩვენი ცოდვებიც, ნაკლოვანებანი, ხარვეზები, რომლებიც არის სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკური ორგანოების აპარატების საქმიანობაში.

ჩვენი აზრით, დადგა დრო, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით მოჰკიდონ ხელი საგეგმო დისციპლინის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. უნდა მივაღწიოთ, რომ გეგმაში არავითარი ცვლილება არ შეჰქონდეთ, სანამ საგუღლდაგოდ არ განხილავენ და არ შეათანხმებენ რესპუბლიკის უმაღლესი საგეგმო და სტატისტიკური ორგანოების დონეზე.

მაღალი დისციპლინა გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, საქმისათვის კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მისთვის უცხოა უწყვეტივი შეზღუდულობა. მაგრამ მაშინ, ისმება კითხვა, როგორ შევიფასოთ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის თითქმის ყოველი მესამე საწარმო ვერ ასრულებს თავის **სახელმწიფოსადმი ვალდებულებებს,** ხოლო გასული წელს დაკლებული პროდუქციის მოცულობამ 300 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მრეწველობაში აღრიცხულია სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ათიათასზე მეტი შემთხვევა.

როგორც სტატისტიკა მოწმობს, უკანასკნელ ხანს მიწოდების დისციპლინის დარღვევა დამახასიათებელი გახდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებისთვის. უკეთ როდი მდგომარეობა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშიც, რომელთა წილად მოდის დაკლებული პროდუქციის მთელი მოცულობის თითქმის 40 პროცენტი.

რა თქმა უნდა ასეთ ორგანიზაციებს დიდი ზარალი მოსდით. მაგრამ არანაკლებ ზარალს განიცდიან სრულიად უდანაშაულო მომიჯნავეებიც, მთლიანად სახალხო მეურნეობა. სახელშეკრულებო დისციპლინის მკაცრი დაცვა ჩვენი ერთიანი საგეგმო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალური ფუნქციების საარსებო და აუცილებელი პირობაა.

ეფიქრობთ, რომ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელებმა უფრო მკაცრად უნდა აგონ პასუხი სადისციპლინო დისციპლინის დარღვევისთვისაც. ამ საქმეში გვჭირდება ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სამშენებლო ბანკის საქართველოს კანტორების უაღრესად მკაცრი და პრინციპული პოზიცია.

ანალოგიურად მეტი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ყველა სხვა საკითხშიც. რაიონისადმი კომპეტენტური ხელმძღვანელობის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია, თუ აქ უაღრესად დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, როგორიც არის, მაგალითად ზნაურის, საჩხერის, სიღნაღისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. განა ხელმძღვანელებს არ მიუძღვით ბრალი დისციპლინის ისეთ დარღვევაში, როგორიც არის, მაგალითად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის, საშუალო წველადობის შემცირება, როგორც ეს ხდება ახმეტის, თიანეთის, წულუკიძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში? და განა დასაშვებია, რომ მარტო მარცვლეულის თესვის აგროვადების დარღვევის მიზეზით შარშან დაგვაკლდა ათასობით ტონა მარცვლეული? ესეც ხომ დისციპლინის უხეში დარღვევაა.

დისციპლინის დარღვევაა, კაცმა რომ თქვას, ისიც, რომ მეათე ხუთწლედისა და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ვერ ავითვისეთ შესაბამისად 180 და 100 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო კაპიტალდაბანდება.

რესპუბლიკას საგრძნობ ზარალს აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის გაჭიანურება. ვფიქრობ, მისი დაჩქარებით დაინტერესებულია ყოველი თქვენგანი. ამავე დროს გასული წლის ცხრა თვეში ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ათვისების ღონისძიებათა გეგმა რეალიზებულია მხოლოდ 78,1 პროცენტით, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისა — 88,4, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისა—შესაბამისად 93 და 88,8 პროცენტით. ჩვენში დაგროვდა ბევრი ფაქტი, როცა მაღალეფექტიანი ნამუშევრები წლობით არ ინერგება. ეს გვაიძულებს ვილაპარაკოთ **სამეცნიერო ტექნიკური დისციპლინის** ამაღლების აუცილებლობაზე.

დროა, ვისწავლოთ, რომ პრეტენზიებს ვუყენებდეთ არა მარტო შრომითს კოლექტივებს, არამედ იმ ორგანიზებასაც, რომლებიც მათ ხელმძღვანელობენ, კონკრეტულ ხელმძღვანელებს. საიდუმლო ხომ არ არის, რომ თუ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იქმნება მანქანათმშენებლობაში ან მეტალურგიაში, ეს ნიშნავს, რომ არა მარტო ცალკეული საწარმოები, არამედ სამინისტროც ვერ მუშაობს ჯეროვან დონეზე, მაშასადამე, პარტიული ორგანოებიც ვერ იჩენენ საკმარის პრინციპულობასა და მომთხოვნელობას, სუსტად მოქმედებს შესაბამისი სამუშაო ჯგუფი და ა. შ. ერთი სიტყვით, ამხანაგებო, მინდა მოგახსენოთ, რომ დისციპლინა დღეს გვჭირდება არა მარტო ჩარხთან, არამედ კაბინეტებშიც, **რომ მუშის სანიმუშო დისციპლინის სათავე ხელმძღვანელის მაღალი ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობაა.**

ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ეს საწარმო ჩვენში მეწინავეთა რიცხვში იყო. კოლექტივი გულდაჯერებით ასრულებდა გეგმებს, მუშაობდა სტაბილურად, არაერთგზის გაუმარჯვია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მაგრამ საკმარისი იყო რამდენადმე შენელებულიყო მომთხოვნელობა, უწინარესად ხელმძღვანელ რგოლში, რომ ამან უკვე დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა შრომის, საწარმოო, საგეგმო საფინანსო დისციპლინის მდგომარეობაზე. ყველა ეს ნაკლი განსაკუთრებული ძალით „გამოვლინდა" უკანასკნელ წლებში, როცა მუშაობა მოუხდათ რეკონსტრუქციის პირობებში და ამავე დროს ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლების გამოსაშვებ ახალ სიმძლავრეებს. ამას მოჰყვა საწარმოო პროგრამის სერიოზული ჩავარდნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არაერთგზის გააფრთხილა ქარხნის ხელმძღვანელობა და მისი დირექტორი ამხ. ვ. ი. ხარებავა. სერიოზული კრიტიკა გამოთქვა ჩვენს პლენუმებზეც. მაგრამ სათანადო დასკვნები აქედან ვერ გამოიტანეს. უფრო მეტიც, მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნის მიზნით ქარხანაში მიმართეს წამატებებსა და თვალის ახვევას.

ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდებოდით. ასეთი რამ არ ეპატიება არავის, არც ისეთ ცნობილ და მეტად დამსახურებულ ადამიანს, დეპუტატს, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრს, როგორიც არის ამხანაგი ვ. ი. ხარებავა. ჩვენ იგი არ დავინდეთ, რადგან არ გვქონდა სისუსტის, შეწყნარების უფლება. არაერთგზის გავაფრთხილეთ მაღალი ტრიბუნიდან, რომ ჩვენ გვქონდა არა გეგმის შესრულების მანიპულაციები, არამედ კონკრეტული პროდუქცია, კონკრეტული შრომა; და დაე, ის, რაც ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მოხდა, — იქ კი იძულებული გავხდით თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა ამხ. ვ. ი. ხარებავა და ზოგიერთი სხვა ამხანაგი — ჯკუის სასწავლებელი გაკვეთილი გახდეს ყველა ჩვენი ამხანაგის, ყველა ჩვენი ხელმძღვანელისათვის — ახალგაზრდებისთვისაც და გამოცდილებისთვისაც.

სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება ყველას ვალია, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი!

(დასასრული)

ზომა მიუსაჯა? ჩვენ საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზეც მოვიყვანეთ ეს ფაქტი, ვინაიდან ერთ-ერთი დამნაშავე პარტიის წევრიც კი იყო. მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ეს ადამიანები ცინიზმითა და თავხედობით უპრეცედენტო დანაშაულს სჩადიოდნენ. და კოლექტივში აზრადაც არავის არ მოსდიოდა ეს. ამიტომ მომავალში მეტი სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ, დროულად გავაფრთხილოთ ადამიანები, არ დაველოდოთ, სანამ საბოლოოდ დაიღუპავდნენ თავს, მორალურადაც და ფიზიკურადაც. ასეთი ჭრილობები ხომ ძნელად ხორცდება, ყველაზე ახლენს გავლენას.

უსაზღვროა ჩვენი პატივისცემა ყველა პროფესიის მუშაკებისადმი, მათ შორის მომსახურების სფეროში დასაქმებული ამხანაგებისადმიც. ეს არის ათიათასობით, ასიათასობით მშრომელი, რომელთა დიდი უმრავლესობა პატიოსანი, კეთილსინდისიერია, — ჩვენ ეს ვიცით. მიუხედავად ამისა, აქაც ჯერ კიდევ ცოტა როდია დარღვევა და უმსგავსობა. თანაც ზოგჯერ ეს დარღვევები, თუ შეიძლება ითქვას, თქვენი კოლექტივის თვალწინ ხდება, ზუსტად ქარხნის გვერდით № 44 მაღაზიაში გამოვლინდა მყიდველთა ანგარიშში უხეში მოტყუების ფაქტები, საზოგადოებრივი კვების ტრესტის გაერთიანების ერთ-ერთ მეპუფეტეს იმ მომენტში წაასწრეს, როცა კერძო პირს აძლევდა ქარხნის მუშებისათვის განკუთვნილ 45 კილოგრამ ხორცს.

ჩვენ დიდად ვაფასებთ და უაღრეს პატივს ვცემთ ჩვენს ექიმებს, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. რამდენ ადამიანი გადაარჩინეს სიკვდილს, რამდენი განკურნეს. მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ინტელიგენციის საიმედო რაზმია. და მაინც, ამ სფეროში ზოგჯერ ვაწყდებით დაბალ კვალიფიკაციას, უსულგულობას, ბიუროკრატიზმსა და უხეშობას.

აი რატომ არის, რომ, როცა ვლაპარაკობთ წესრიგზე ყველგან და ყველაფერში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის, რომ თქვენი ქარხნის მუშათა კლასი გვიჩვენებს მაგალითს, თუ როგორ უნდა ვუწევდეთ სიფაფუ დახმარებას, კონტროლს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, სკოლებსა და სპორტულ ბაღებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ტრანსპორტს, როგორ უნდა ვამყარებდეთ სანიმუშო

კომუნისტურ წესრიგს საწარმოში, ოჯახში, ქუჩაში. ერთი სიტყვით — **ყველგან!** ამ წმიდათაწმიდა ბრძოლაში მუდამ თქვენთან ერთად ვიქნებით!

ვიზრუნოთ ყველაფრისათვის, წინასწარი ვიყოთ ყველაფერთან — ეს პიროვნების მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების, კომუნისტური ზნეობისა და შეგნების მაჩვენებელია. დისციპლინა და ზნეობა, დისციპლინა და შეგნება კი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია.

ამ თვისებებს დამაჯერებლად განასახიერებენ თქვენი სახელოვანი კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები, კომუნისტები ტრიფონ როსტაშვილი და ბარიელ სუხინი, შოთა ლოხიშვილი და თეიდორე ბარიგანი, მედეა კაზიშვილი და მარიამ ოვსიანიკოვა, დავით დოშოიანი და აშირ აშიროვი, ვალერი კუდუკოვი და მრავალი სხვა, ისევე, როგორც ყველა, ვინც ამ დარბაზშია. ჩვენ ვიცით, დღეს აქ შეიკრიბნენ საუკეთესოთაგან საუკეთესონი, წარმოების მოწინავენი, ამხანაგები, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დასაყრდენს. სწორედ ისეთი ყაიდის ადამიანები, როგორიც თქვენ ხართ, თანამედროვე ტიპის მუშები გახლავან ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები, რომლებიც უაღრესად არიან დაინტერესებული მისი შემდგომი აყვავებით.

ასეთ ადამიანებს ეკუთვნით მომავალი. კომუნიზმი მარტო სიუხვე კი არა, ეს არის აგრეთვე ცხოვრების წესიც, ეს არის უმაღლესი დისციპლინა, პასუხისმგებლობა, შემსრულებლობა, ეს არის იმის უნარი, რომ გონივრულად სარგებლობდე მატერიალური სიკეთით, შენს მოთხოვნილებებს უფარდებდე ჩვენი საზოგადოების შესაძლებლობებს.

დღეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშებს რომ მივმართავთ, ამით ჩვენ მივმართავთ რესპუბლიკის მთელ მუშათა კლასს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, სამეურნეო ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს. ჩვენ მოვუწოდებთ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მშრომელებს კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა, განავითარონ კოლექტივისტური საწყისები შრომაში, აამაღლონ აქტიურობა, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა მისი საბოლოო შედეგებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი ახალი შემართებით, ახალი უზრეტი ენერგიით გააჩაღებს ბრძოლას სანიმუშო სოციალისტური

დისციპლინისათვის, ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ახალი რეზერვების გამოვლენისათვის, საბჭოთა საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის შემდგომი დაჩქარებული ზრდისათვის!

დღეს მოვუწოდებთ ჩვენს შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს, სპეციალისტს, სოფლის ინტელიგენციას უზრუნველყონ წესრიგი სოფლის მეურნეობასა და მის მომიჯნავე დარგებში, მიაღწიონ აგროსამრეწველო კომპლექსის მყარ ფუნქციონირებას მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, საბოლოო შედეგებისათვის თითოეული დარგის პასუხისმგებლობის საფუძველზე. ეს ქვეყნის სასურსათო პროგრამის საარსებო მოთხოვნებია.

დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის ყველა მშრომელი, სოფლის საზოგადოებრიობა აქტიურად ჩაებმებიან პატრიოტულ მოძრაობაში მაღალი პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაზარდონ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მინიმუმამდე შეამცირებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს, მოსავლისათვის ზრუნვას გადაქცევენ თითოეული მეურნეობის, თითოეული კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ყოველდღიური ყურადღების საგნად.

ჩვენ დღეს მივმართავთ ჩვენს შესანიშნავ ინტელიგენციას. მისი მაღალი დისციპლინა, ორგანიზებულობა, შეგნება, შემოქმედებითი აქტიურობა გამოიხატა დიდი მეცნიერული აღმოჩენებითა და მაღალეფექტიანი ნამუშევრებით, რომლებიც დაინერგა უკანასკნელი წლების მანძილზე, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი ნაწარმოებებით, რომლებიც ეხება აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებს, ჩვენი ადამიანების იდეოლოგიური აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

შეინერებისა და კულტურის მუშაკთა დისციპლინის განმტკიცება უბრალო და ერთმნიშვნელობიანი პროცესი როდია, იგი მოითხოვს უდიდეს ტაქტს, მეცნიერის, მწერლის, მხატვრის, კულტურის მოღვაწის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უკეთ გამოვლენის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ლიტერატორის, ხელოვნების მოღვაწენი, მასწავლებლები, ექიმები, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენცია კვლავაც ამრავლებენ წვლილს ჩვენი ხალხის ინტელექტუალურ და სულიერ სიმდიდრეში.

დღეს ჩვენ მივმართავთ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას და ამასთან გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ ჩვენთან იყო, მუდამ ჩვენი სიმედო დასაყრდენი იყო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში. ვიცით, რომ ახალგაზრდობა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ყველა ნეგატიურ მოვლენას, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ელემენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს ცხოვრებაში. ვიცით, თუ რა განსაკუთრებით აფასებს ჩვენი ახალგაზრდობა პატიოსნებას და გულახდილობას, ნდობით აღსავსე დამოკიდებულებას. იგი ასეთ დამოკიდებულებას უპასუხებს ენერგიისა და ენთუზიაზმის ახალი მოზღვავებით. ჩვენ ამის დამამტკიცებელი ბევრი მაგალითი გვაქვს.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენს ახალგაზრდობას, ტრადიციულად ვხედავთ მის საუკეთესო წარმომადგენლებს ახალი წლის წინ, რათა გაუზიარონ საკუთარი აზრები, დამოძღვროთ ახალი საქმეებისათვის. და დღეს ვიმეორებთ: ნამდვილად გვწამს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი და აღმშენებლობითი ძალები.

მოვუწოდებთ ჩვენს საბჭოთა ორგანოებს, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანიზაციებს პარტიული კომიტეტების მეთაურობით ყოველნაირად გაძლიერეთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, აამაღლონ აქტიურობა და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფეროებისადმი ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა. თქვენ უდიდესი შესაძლებლობანი გაქვთ, ძვირფასო ამხანაგებო. პროფკავშირებში გაერთიანებულია რესპუბლიკის ორ მილიონზე მეტი მშრომელი. უსაზღვროდ ვენდობით ჩვენს სამეურნეო კადრებს, ჩვენი წარმოების მეთაურები მიგვაჩნია საიმედო დასაყრდენად ყველა საქმეში. დიდი გაკვლევა და ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული ყველგან ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც მოწოდებული არიან საბჭოები გადააქციონ ყველგან და ყველაფერში წესრიგისათვის პასუხისმგებლებად.

რა თქმა უნდა, მთავარი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური ძალაა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები, რომლებიც ყოველთვის სათავეში უდგანან ყოველივე ახალს, მუდამ წინა ხაზზე არიან, მიუძღვიან შშრომელთა ფართო მასებს.

სწორედ თქვენ უნდა მეთაურობდეთ მაღალი დისციპლინისათვის, ორგანიზებულობის, მომთხოვნელობის აქტიურობისა და პასუხისმგებლობისათვის ლაშქრობას!

დისციპლინა ყველგან და ყველაფერში, მაღალი პასუხისმგებლობა ადამიანთა სიმწიფის მაჩვენებელია. დისციპლინა ჩვენი პატიოსნება და ჩვენი ღირსებაა. დისციპლინა ხალხის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებთან ერთად მისი ძალისა და ძლიერების, მისი ორგანიზებულობისა და შთაგონების მაჩვენებელია. **უწინარეს ყოვლისა მაღალი დისციპლინითა და პასუხისმგებლობით, სრული თვითუკუგებით ვლინდება ეროვნული ღირსების გრძნობა, რომლის არსი ის არის, რომ პირნათლად შეასრულოთ საკუთარი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე.**

ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავების, ჩვენი ადამიანების უკეთესი ცხოვრების საკეთილდღეოდ ვაჩაღებთ ბრძოლას დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის. ამ ბრძოლის წარმატებაზე, იმაზე, თუ რა მორალურ კლიმატს შეავქმნით რესპუბლიკაში, იმაზე, თუ როგორ ვიშრომებთ და ვიცხოვრებთ, დამოკიდებულია საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი, აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ბედნიერება და სიკეთე.

სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ დიმიტროველთა ინიციატივა ბოვებს საყოველთაო მხარდაჭერას, იგი საერთო-სახალხო, საერთო-საკავშირო დონეთში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის გადიდების კიდევ ერთი არხი გახდება.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, რომლებიც მაღალი შეგნებისა და დისციპლინის მაგალითებს გვიჩვენებენ!

დიდ წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს პატრიოტულ ლაშქრობაში, სანიმუშო დისციპლინისათვის, მაღალი ორგანიზებულობისთვის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობისათვის ყველგან და ყველაფერში!

ლირსებისა და მუშური სინდისის საქმე

(დასასრული)

წლეული. სწორედ ამის მეოხებით შეძლო ქარხნის კოლექტივმა ზემოხსენებულ პერიოდში მიეღწია მნიშვნელოვანი პროგრესისათვის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სამუშაო დროის დანაკარგები ერთ მშრომელზე მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ დიმიტროველები მიღწეულს არ სჯერდებიან. ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების შედეგად მკვეთრად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება. ამიტომ ქარხანაში ახლა დისციპლინის პროლემას უდგებიან მრავალმხრივად, ითვალისწინებენ ყველა იმ პირობის ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკთა მაღალნაყოფიერ შრომას, ადამიანის, როგორც მთლიანი პიროვნების აღზრდას. იმის გაგებაში, რომ საჭიროა სწორედ ასე მივუდგეთ საქმეს, დაგვეხმარა სამუშაო დროის გამოყენების, შრომის დისციპლინის მდგომარეობის სისტემატური და ყოველმხრივი ანალიზი. არ კმარა იცოდე, რას კარგავ. უნდა იცოდე სად, როგორ და რისგან ჩნდება დანაკარგები. ახლა ქარხანაში ყოველკვირეულად, ხოლო ზოგიერთ მის ქვეგანაყოფში ყოველდღიურადაც ეწყობა ასეთი ანალიზი. **ეგი შესაძლებლობას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ საქმის ვითარება წარმოებაში, დროულად გამოვიმუშაოთ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.** ამასთან საქმე ეხება არა მარტო აქტიური გავლენის მოხდენას დისციპლინის კონკრეტულ დამოვლენებზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ქარხნის მასშტაბით მისი განმტკიცების გზების ძიებას, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს გვიშლიან სრულად გამოვიყენოთ სამუშაო დღე.

გადავაქციოთ საწარმოო კოლექტივის თითოეული წევრი შრომის მაღალი სოციალისტური დისციპლინისათვის შეგნებულ მებრძოლად — ასეთი ამოცანა აქვს დასახული ახლა კოლექტივს, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად გამოიჩინა ახალი პატრიოტული თაოსნობა. და ამის მიღწევა საესებით შესაძლებელია. ამის ნათლად მოწმობს ბევრი საამქროს, უბნის გამოცდილება.

უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა თვალსაჩინო აგიტაციის ქმედითობა, რომელიც ნათლად, დამაჯერებლად, გასაგებად ცხადყოფს იმ ზარალს, რომელსაც დისციპლინის დამრღვევი აყენებს მთელს საწარმოს. დღეს ხომ მუშათა აბსოლუტური უმრავლესობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან წარმოების ტექნოლოგიით, და ერთის გაცდენა, დაგვიანება, წუნი მუშაობაში ზეგავლენას იხდენს მრავალი მუშის საქმიანობაზე.

დისციპლინისათვის · კოლექტიურ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანწილად აძლიერებს შრომითი მეტოქეობის შედეგების შეჯამებისას მისი მდგომარეობის გთვალისწინება. ყველა საამქროში, ყველა უბანზე ამ პრინციპს ფართოდ და დღენადაგ იყენებენ. როგორც წესი, ის კოლექტივები, სადაც იყო შრომის დისციპლინისა თუ ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევები, იხსენებან სოციალისტურ შეჯიბრებაში სპარიზო ადგილების მინიჭების შესახებ განხილვიდან.

ყველგან და ყველაფერში დისციპლინისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის ინიციატივა ზემოდან როდი ინერგებოდა. იგი იშვა ბრიგადებში, უბნებზე, ესე იგი მუშათა კლასის შუაგულში, რაც ახასიათებს მის მაღალ შეგნებულობას და წარმოებაში წესრიგის განმტკიცებით დაინტერესებას.

როცა ძირითადი ყურადღებას ეუთმობთ დამრღვევების, გამცდენების, ფრენიების წინააღმდეგ ბრძოლას, კარგად გეესმის, რომ ეს დიდი საერთო მუშაობის მხოლოდ ნაწილია. ჩვენი მთავარი მეცადინეობა უნდა მოგახმაროთ იმას, რომ წარმოებაში ახლად მოსულ მუშას პირველი ნაბიჯებიდანვე ჩაეუნერგოთ კოლექტივის საქმეებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი ტრადიციებისათვის სიამაყის გრძნობა, მუშური ღირსების მაღალი გრძნობა.

პატივი და დიდება შრომის მიხედვით

ამწყობი ზეინკლის შ. ი. ლოხიშვილის გამოსვლიდან

რაცა ეუფიქრდებით ჩვენი დღეგანდელი შეხვედრის მიზეზს, კრებაზე აღძრულ თემას, უკილოლოდ გამოგვაქვს დასკვნა: ჩვენ შევეჩვიეთ დისციპლინის დარღვევებს და ხშირად ვერ ვამჩნევთ იმ კოლოსალურ ზიანს, რომელსაც ისინი გვაყენებენ.

მაგრამ დისციპლინის დარღვევებს შეიძლება ეფექტიანად ვებრძოლოთ. თუ ზუსტად მოვუნახავთ გასაღებს ადამიანის გულს, იგი ნებისმიერ დავალებას გაართმევს თავს. მახსენდება ჩვენთან ქარხანაში მოსული ერთი ახალგაზრდა. ეს ყმაწვილი აკიდენდა, იგვიანებდა, გულგრილად ეკიდებოდა საქმეს, მოზდა ცუდ წრეში. ყველამ — მისმა ახლობლებმა, უფროსმა ამხანაგებმა ძალ-ღონე არ დავიშურეთ, რათა სწორ გზაზე დაგვიყენებინა. ვეუმარებოდით მუშაობაში, ვცდილობდით მეტად დაგვეტვირთა საზოგადოებრივი დავალებებთან. სითბოსა და ყურადღებას არ ვაკლებდით. ფრთხილად, მაგრამ პრინციპულად ვაანალიზებდით მასთან ერთად თითოეულ მის ნაბიჯს. ჩვენი საამქროს მუშები კარგად იცნობენ ამ ამხანაგს.

დღეს კმაყოფილებს ვერ ეფარავ — იგი გამოსწორდა, მოწონავე მუშა გახდა.

ეს მაგალითი იმისთვის როდი მოვიყვანე, რომ ჩემი დამსახურება დამეკვეხნა და თავი მოგაწონოთ. მინდა ხაზგასმით აღვიშნო, რომ უფროს მეგობარს, დამრიგებელს, ოსტატს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ყველას როდი ჰყოფნის ამისათვის! სიმტკიცე და მოთმინება.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ კიდევ არიან ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებზეც არაფერი არ მოქმედებს: არც ყურადღება, არც წახალისება, არც დასჯა. ასეთი კაცი კოლექტივში ირიცხება, მაგრამ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. დაითხოვენ ერთი სამსახურიდან, ის კი ადვილად მოეწყობა მეორეზე. რას გულისხმობს მოსკოველთა თაოსნობა — „პატივი და დიდება შრომის მიხედვით?“ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ უქნარას, უსაქმურს, ფრენიას არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად იცვლიდეს სამუშაო ადგილს და პატიოსანი შშრომელების თანაბრად სარგებლობდეს ყველა უფლებით. ჩემი აზრით კანონი უნდა ითვალისწინებდეს უფრო მკაცრ ღონისძიებებსა და პასუხისმგებლობას ასეთი ადამიანების მიმართ.

უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ ხელმძღვანელ ამხანაგებსაც. დისციპლინა, როგორც იტყვიან, კაბინეტებიდან უნდა იწყებოდეს. სხვა რით უნდა აიხსნას გასაკვირი ხალხმრავლობა სამუშაო დროს ავტოგასამართ სადგურებში, მაღაზიებში, ატელიეებში, საერთოდ ქუჩებში, თუ არა ხელმძღვანელი მუშაკების უყურადღებობითა და უკონტროლობით. ვინ არიან ეს ადამიანები? ნუთუ ყველა მუქთახორაა? რა თქმა უნდა, არა. მათი უმრავლესობა ტაბელის მიხედვით ამ წუთებში ვითომ სასარგებლო საქმეს აკეთებს, ორსებითად კი თავის პირად საქმეებს აგვარებს.

დიახ, დადგა დრო, შეურეგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ დისციპლინის ყველა დამრღვევს. ამიტომ სულითა და გულით ვუჭერ მხარს ქარხნის კოლექტივის მოწოდებას — „გიბრძოლოთ მტკიცე ბრძოლა ყოველ სამუშაო ადგილზე დისციპლინიანობის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

ჩვენ ყველანი იმის მომსწრენი ვართ, თუ რა მტკიცე და თანამიმდევრულ ბრძოლას ეწევიან უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ყველგან და ყველაფერში დისციპლინის განმტკიცებისათვის. რესპუბლიკაში ამ დროის მანძილზე პრაქტიკულად არ ყოფილა არც ერთი ღონისძიება — იქნებოდა ეს ყრილობა, პლენუმი თუ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება — სადაც არ აღძრულიყო ეს საკითხი. საკითხია, რომ ამ ბრძოლაში თითოეული ჩვენგანი უფრო აქტიურად ჩაებას.

წესრიგი—ეს არის კონ-ტროლი ყველა რგოლში

საამქრო პარტორგანიზაციის მდივნის დ. მ. მაზმიშვილის გამოსვლიდან

მახსენდება ახლახან მომხდარი შემთხვევა: ცვლის დროს ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თავზე დაადგა ჩვენი საამქროს რამდენიმე მუშას, როცა დომინოს თამაშობდნენ. ისმება კითხვა: რატომ არ შეაჩერეს წესრიგის დამრღვევნი თანამოსამე ამხანაგებმა, სად იყვნენ საამქროს კომუნისტები, მისი ადმინისტრაცია? ისე მოხდა, რომ ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ აღიკვეთა წესრიგის დარღვევა. ამ ფაქტმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ ბრძოლა მტკიცე დისციპლინისათვის, მაღალი პასუხისმგებლობისათვის ყველას და თითოეულს საქმეა, რომ იგი არ უნდა იყოს კამპანიური ხასიათისა.

ისევე როგორც ყველგან, საწარმოში, საამქროშიც ფუნქციონირებს შრომის, საწარმოო, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვის კომპლექსური სისტემა, დიდ მუშაობას ეწევიან ამხანაგური სასამართლოები, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კაადრების დენადობის შემცირებისათვის ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის კომისიები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, კომკავშირული პროფექტორი.

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ჩვენ განვლეთ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი, რომელიც სამი წლის წინათ ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის გადაწყვეტილებით განისაზღვრა. იგი მიზნად ისახავდა ყოველგვარი ხასიათის დარღვევის ყველა შემთხვევაზე სავალდებულო რეაგირების უზრუნველყოფას.

ახლა დავიწყეთ ამ ბრძოლის მეორე ეტაპი. ეს არის რეაგირების ხარისხი. სწორედ აქ გვაქვს ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ხარვეზები. ჩვენი საამქროს მაგალითით მე უკვე ცხადდყავი, რომ მუშაობაში ჯერ კიდევ ხშირად იჩრნობა უნიათობა, გაუმართლებელი ლიბერალიზმი, უპრინციპობა, ზოგჯერ კი ნამდვილი ფორმალიზმიც. სწორედ ამიტომ ჩვენმა პარტიბიურომ უთუოდ უნდა შეიცვალოს პოზიცია. დისციპლინა უმნიშვნელოვანესია პარტიული მოთხოვნებიდან და მისი დაცვა პარტიული ორგანიზაციის უშუალო და უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ასეთი მომთხოვნელობის სულისკვეთებით ჩაიარა კრებამ ჩვენს საამქროში განსახილველ საკითხზე. განწყობილი ვართ მტკიცე მოქმედებისათვის, და მოსკოველთა დევიზს — „პატივი და დიდება შრომის მიხედვით“, აგრეთვე ქარხნის კოლექტივში შობილ მოძრაობას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში“ — უთუოდ განვახორციელებთ.

აი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა. სამუშაო დროის საერთო დანაკარგიდან უდიდესი წილი მოდის ეგრეთ წოდებულ ნებადართულ შვებულებებზე. ზოგჯერ ისინი „ნებადართული გაცდენების“ ხასიათისაა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ შუაკს ზოგიერთი თავისი საყოფაცხოვრები საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ სამუშაო დროს. წინათ ხომ სახლმმართველობები, პოლიკლინიკები, ატელიეები, შშრომელთა მომსახურების ბევრი სხვა ორგანიზაცია გვიან საღამომდე მუშაობდნენ. ცუდი არ იქნებოდა დავბრუნებოდით ამას.

გადაწყვეტილების ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთ. ეს ეხება ქარხნის ყველა პასუხისმგებელ მუშაკსაც, რომლებიც ზოგჯერ დროულად არ ასრულებენ დირექტორის ბრძანებებს, პარტიული კომიტეტის დადგენილებებს. მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია, რაც მიღებულია გადაწყვეტილება ჩვენი ქარხნისათვის ბაღის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. იგი კი დღემდე არ შესრულებულა. ესეც დისციპლინის საკითხია...

მწვავედ, მაგრამ სავსებით სამართლიანად გაისმა სსრკავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ გამოთქმული აზრი, რომ დღეს ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის საჭიროა განვეწყოთ საქმისათვის და არა ხმამაღალი სიტყვებისათვის. სწორედ კონკრეტული საქმისათვის განწყობამ უნდა განსაზღვროს მთელი ჩვენი მუშაობა დისციპლინის განსამტკიცებლად.

აღვზარდოთ მაგალითით

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირის თ. მ. ბარიგინის გამოსვლიდან

რისგან შედგება დისციპლინა? ალბათ, ვერც ჩამოთვლი. აქედან გამომდინარეობს დასკვნაც, რომ იგი უნდა განვამტკიცოთ ყველგან და ყველაფერში: საკუთარ საწარმოში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ტრანსპორტზე. ერთი სიტყვით, ყოველ სამუშაო ადგილს. თორემ იოლვეკა საწარმო-სოციალური კავშირურთიერთობა.

მოვიყვან მაგალითს. ერთხელ შევნიშნე, რომ ჩემი ერთ-ერთი თანასაამქროელი ამხანაგი ცუდ გუნებაზე იყო, რომ იტყვიან, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. მიზეზი ვკითხე. მითხრა, მაღაზიაში ვიჩხუბე, გამყიდველმა ხურდა ფული დამაკლო, ჩემი შენიშვნის პასუხად კი შეურაცხყოფა მომაყენაო. და აი, წუნის, ესე იგი ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შესაძლო მიზეზი.

ახლა ავიღოთ ტრანსპორტის პრობლემა. სოციოლოგებმა გამოიანგარიშეს, რომ იმათ, ვინც ხალხით სავსე ტრანსპორტით მგზავრობს, მკვეთრად ეცემა შრომის ნაყოფიერება. სამწუხაროდ, არავის გამოუანგარიშებია, თუ რამდენად ეცემა იმათი ნაყოფიერება, ვინც უშედეგოდ ელის და ელის ავტობუსს ან ტროლეიბუსს გაჩერებაზე.

მრავალი წლის პრაქტიკამ მასწავლა საკუთარი სამუშაო ადგილისადმი მუშაკთა დამოკიდებულების საქმიანი თვისებების შეფასება. ჩვენი კადრის მუშები, მაგალითად, შინ ისე არ წავლენ, რომ სამუშაო ადგილი არ მოაწესრიგონ, ყუთებში არ ჩაიწყონ იარაღები. ისინი კი, ვინც ახლახან მოვიდა ქარხანაში, ყოველთვის როდი იცავენ ამ წესს. რა თქმა უნდა, კარგი, როცა ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენთან თავიანთ შრომითს ბიოგრაფიას იწყებენ, ან ისინი, ვინც ჩვენთან სხვა საწარმოებიდან მოვიდა, ითავისებენ ქარხნის ტრადიციებს დამოუკიდებლად, კარნახის გარეშე. ჩვეულებრივ, სწორედ ასე ხდება იმ საამქროებში, სადაც შექმნილია მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფერო. თუკი ასე ჯერ კიდევ ყველგან არ ხდება, ამაში, უწინარეს ყოველისა, თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავენი. საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, რა გააკეთე იმისათვის, რომ შენი მეზობელი დაზგასთან მაღალნაყოფიერად შრომობდეს, ზუსტად იცავდეს განრიგის ყველა წესს, ტექნოლოგიის მოთხოვნებს?

რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ძნელია. მახსოვს, ქარხანაში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვის დაწყებითი ეტაპი. რთულად მიმდინარეობდა ჩვენთან ეს პროცესი: ყველას როდი უნდოდა ბრიგადებად გაერთიანება. იქ ხომ მომკითხველობაც დიდია და წესრიგიც მეტი, ვიდრე ინდივიდუალური მუშაობის დროს, ამასთან ახალი მოთხოვნები გამოცდილ მუშებსაც კი აშინებდათ. ჩვენ კი ბრიგადაში არ შეგვმინებია ახალბედების აყვანა. ტყუილია, როცა ამბობენ, ახალგაზრდობა ახლა ისეთი აღარ არისო. შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. მხოლოდ საჭიროა მასთან მუშაობა, საჭიროა მისი აღზრდა ყოველდღიურად, პირადი მაგალითით. არ დავმალავ, ბევრი ოფლის ღვრა დაგვჭირდა, მაგრამ სამაგიეროდ წარსულს ჩაბარდა ლამის ტრადიციულად ქცეული ჩამორჩენა უბანზე, სადაც დღეს ვმუშაობთ. დღეს ახალგაზრდა მუშები თამაზ შენგელია, ამირან გოგოლაძე, იური გუბახოვი ვეტერანების თანაბრად მუშაობენ.

შარშან ჩვენმა ბრიგადამ ექვსჯერ გაიმარჯვა საერთო-საქართნო სოციალისტურ შეჯიბრებაში. და ეს, უეჭველია, განაპირობა მაღალმა საშემსრულებლო დისციპლინამ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ყველგან მოვახერხებთ შრომის, საწარმოო დისციპლინის დამრღვევებისადმი შეურიგებლობის ვითარების შექმნას, შეეძლებთ დასახული მიზნის უფრო სწრაფ მიღწევას — ავამაღლებთ თითოეულის, მათ შორის იმათ დისციპლინასა და პასუხისმგებლობას, ვისაც ვაწყდებით ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში.

მაგალითად, მე, როგორც დეპუტატს, ადამიანები ხშირად მომმართავენ საჩივრებით საცხოვრებელი ფართობის უხარისხობის გამო, ვაწყდები ბინების რემონტის პრობლემას. და ამ პრობლემების გადაწყვეტა ხშირად ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. არადა, ეს საკითხები მოითხოვს გადაწყვეტას და, თუ ისინი მოწოდებებით, დარიგებებით არ წყდება, მოდით, ბოროტების ფესვი, ძირითადი დამნაშავე მოვძებნოთ, შემდეგ კი მას მთლიანად მოვკითხოთ.

აღვუთქვამთ ჩვენი პ

პარტიის ერთგული შვილი, ლენინური სკოლის კომუნისტი

კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის სურენ სპანდარის ძე სპანდარიანის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 10 იანვარს გაიმართა თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

დარბაზში არიან პარტიის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბლაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქ. ლ. დალაქიანი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ფ. გ. ახმედოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ვ. პ. პოლიანიჩკო. აქვეა ს. ს. სპანდარიანის შვილი — სტეფანე სურენის შვ. .

საიუბილეო საღამოს განსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ თქვა:

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლის, პროფესიონალი რევოლუციონერის, ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, სომეხი ხალხის სახელოვანი შვილის — სურენ სპანდარის ძე სპანდარიანის დაბადების 100 წლისთავს.

სურენ სპანდარიანმა მთელი თავისი სიცოცხლე შეალია უკომპრომისო ბრძოლას შრომელი ხალხის სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის. იგი ყოველთვის მუშათა მოძრაობის მებრძოლთა შორის, რევოლუციური მოვლენების შუაგულში იყო. ვერც მეფის საპყრობილემ, ვერც გადასახლებამ, ვერც მატერიალურმა გაჭირვებამ, ვერც ოჯახისათვის ზრუნვის ხიმძიმემ ვერ გატეხეს ს. ს. სპანდარიანის რევოლუციური ნება, მისი მებრძოლი სულისკვეთება და გამარჯვების რწმენა.

სურენ სპანდარიანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბევრი ფურცელი ჩაიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, მის საუკეთესო შვილებთან. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის გიმნაზიის უკანასკნელი კლასების მოსწავლე იყო, იგი მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული წრის მუშაობაში, გაიცნო მოწინავე მუშები და პროფესიონალი რევოლუციონერები. მისი პოლიტიკური შეგნება იზრდებოდა თბილისის პროლეტარიატის პირველი საბრძოლო გამოსვლების ზეგავლენით. აქ გახდა იგი პარტიის წევრი და ამ მოვლენამ განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრების შინაარსი და აზრი.

სურენ სპანდარიანი თბილისის მშრომელი მასების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გახდა. არაჩვეულებრივმა პირადმა თვისებებმა მას უდიდესი ავტორიტეტი, პოპულარობა, მუშებისა და მოწინავე ინტელიგენციის სიყვარული და ნდობა მოუპოვა. საქართველოს პროლეტარიატის ამ ნდობას თვით სპანდარიანიც დიდად აფასებდა.

ამიერკავკასიელი ბოლშევიკების ერთ-ერთ უყველაზე ავტორიტეტიან ხელმძღვანელად მიიჩნდათ სურენ სპანდარიანი პარტიის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ მეშადი აზიზბეკოვი, ალიოშა ჯაფარიძე, ნარიმან ნარიმანოვი, სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, სტეფანე შაუმიანი და სხვები. ვისთანაც ერთად იგი მხარდამხარ მუშაობდა.

სომეხი ხალხის დიდი შვილის ხსოვნა განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, რადგან მის ლეგენდარულ ცხოვრებასა და სახელოვან საქმეებში არაჩვეულებრივად ნათლად გამოვლინდა რევოლუციურ ბრძოლებში მთელი ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარაზმულობა, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხალხთა წმიდათაწმიდა მეგობრობა და ნამდვილი ძმობა, რომლებსაც სუუკუნეების მანძილზე საფუძვლად ედო ჩვენი ხალხების საერთო ისტორიული ბედი, ერთიანი იდეალები, მიზნები და ინტერესები.

ისეთი ადამიანების ცხოვრება, როგორიც სურენ სპანდარიანი იყო, ეს არის თავისებური ანდერძი თანამებრძოლებისა და შთამომავლობისადმი, იმათდამი, ვინც განაგრძო მის მიერ დაწყებული საქმე, იმათდამი, ვინც გარდაქმნის ცხოვრებას და აშენებს ქვეყნად არნახულ საზოგადოებას. დღევანდელ წარმატებებში, ისევე, როგორც ჩვენს ხვალინდელ გამარჯვებებში, ისმის და მუდამ გაისმება მათი შთაგონებული ხმა. მთ მიერ ნაანდერძევი დიდი სულიერი შემკვიდრეობა და სახელოვანი ტრადიციები ემსახურება შრომელთა ინტერნაციონალურ შეკავშირებას, ხელს უწყობს მოზარდი თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და აღზრდას. უფროს თაობათა გმირობასთან ფილნაყარობა სულიერად აღამაღლებს ახალგაზრდობას, აძლევს მათ სამშობლოს ერთგული სამსახურის შთამაგონებელ გაკვეთილს, უხმობს ახალი წარმატებებისაკენ.

მოხსენება ს. ს. სპანდარიანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ.

მოხსენებაში ფართოდ იყო გაშუქებული მგზნებარე რევოლუციონერის ცხოვრება და მოღვაწეობა. აი მისი მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმანსვეტები: 1901 წელი — შედის რსდმპ-ში, 1905 წელი — მონაწილეობს კრასნაია პრესნიაზე გამართულ ბრძოლებში, 1907 წელი — აირჩიეს რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრად, მუშაობს თბილისში, აგვარებს ბოლშევიკური გაზეთის „კაიციას“ (ნაპერწკალი“) გამოშვებას, ხოლო მისი დახურვის შემდეგ გაზეთ „ნორ ხოსკას“ („ახალი სიტყვა“) გამოშვებას, მონაწილეობს რსდმპ სრულიად რუსეთის მეექვსე (პრაღის) კონფერენციის მომზადებასა და მოწყობაში, აირჩიეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრად, 1912 წელი — დაიპატიმრეს და სამუდამოდ გადასახლეს ციმბირში...

34 წლისა იყო ს. სპანდარიანი, როცა შეწყდა მისი გულისძგერა. მაგრამ მან წარუშლელი კვალი დატოვა რუსეთის, განსაკუთრებით ამიერკავკასიის მთელ რევოლუციურ ცხოვრებაში. იგი იყო მგზნებარე პუბლიცისტი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა, რათა მასებისათვის გასაგები ბოლშევიკების პოლიტიკა, მოუწოდებდა მათ ახალი ცხოვრებისათვის, მემამულეთა და კაპიტალისტთა საძულველი წყობილების დამხობისათვის საბრძოლველად.

საღამოზე გამოვიდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქ. ლ. დალაქიანი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ფ. გ. ახმედოვი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თამარ ლომიძე.

ოჯახის წევრთა სახელით სტეფანე სპანდარიანმა უდიდესი მადლობა გადაუხადა ორგანიზაციებსა და ამხანაგებს, საქართველოს მთელ საზოგადოებრიობას, რომლებიც წმიდათაწმიდად ინახავენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფის ხსოვნას.

საიუბილეო საღამოს მონაწილეებს გაუმართეს კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით (საქინფორმი).

10 იანვარი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

● პოლონეთ-კუბა

შეგობრობა, თანამშრომლობა

ვარშავა. **პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რ. კასტრო რუსი.** იგი მეთაურობს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას, რომელიც ვარშავაში ჩავიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის მთავრობის მიწვევით.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთ-კუბის შეგობრობასა და თანამშრომლობას, რომელთა შემდგომი გაღრმავება და განმტკიცება ორივე ხალხის ინტერესებს შეესაბამება. მხარეებმა გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და მხარი დაუჭირეს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების შემდგომ განმტკიცებას.

ამერიკა — ჩინეთის უთანხმოება

პეკინი. **აქ დაიწყო მეოთხე რაუნდი ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებისა საფეიქრო ნაწარმის თაობაზე.** როგორც იუწყებიან, ამ მოლაპარაკების დროს ჩინეთი ცდილობს მოიპოვოს უფლება, რომ ყოველწლიურად 6 პროცენტით გაადიდოს საფეიქრო ნაწარმის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოლაპარაკების ამ რაუნდის წინ თეთრი სახლის წარმომადგენლის პირით აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ცდილობს უფრო მკაცრი შეზღუდვები დაუწესოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან შემოტანილ საფეიქრო ნაწარმს. ამასთან ამერიკის წარმომადგენლები იმიზეზებენ საფეიქრო კომპანიათა ქომაგების სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე და მთავრობაზე.

გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეიცავს მოწოდებას იმის თაობაზე, რომ თავიდან იქნას აცილებული სავაჭრო ომი ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ამ პრობლემის გამო. ჩინეთის მხარე აღნიშნავს, რომ იგი უკვე წავიდა არსებით დთმობებზე ამ მოლაპარაკების დროს, მაგრამ დადებითი პასუხი არ მიუღია ვაშინგტონისაგან.

მოსკოვი

ტელეტაიპის ლენტიდან

გაკოტრებათა რიცხვი მატულობს

ვენა. **ავსტრიაში, სულ უფრო მეტი გლეხური მეურნეობა კოტრდება.** ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქვეყნის მხოლოდ ორ მხარეში, შტირიასა და ზემო ავსტრიაში, 1970 წლიდან 1982 წლის დამლევამდე გასული პერიოდის მანძილზე გლეხურ მეურნეობათა რიცხვი 12 ათასით შემცირდა. ათიათასობით ოჯახმა მიატოვა მიწა. სიდუხჭირე აიძულებს მათ სამუშაო ეძებონ სამრეწველო საწარმოებში. მაგრამ ეკონომიკური კრიზისისა და საპირო კვალიფიკაციის უქონლობის გამო, ისინი მეტწილად „ზედმეტი ადამიანების“ არმიას ავსებენ.

მტაცებლური პოლიტიკის აღსაკვეთად

ტოკიო. **ინდონეზიის მთავრობამ მკაცრად შეზღუდა იაპონიის თევზსაჭერი კომპანიების საქმიანობა ქვეყნის ტერიტორიულ წყლებსა და 200 მილის ეკონომიკურ ზონაში.** მათ, კერძოდ, მთლიანად აეკრძალათ ოპერაციების წარმოება კალიმანტანის კუნძულთან, სადაც მდებარეობს წყნარ ოკეანეში ერთ-ერთი უმდიდრესი თევზსაჭერეწი. ეს ცნობა გამოქვეყნა აქ იაპონიის მეწყალმოქმედების, ტყის მეურნეობისა და თევზჭერის სამინისტრომ. ამგვარი ზომებით ინდონეზიის თანამრთა აპირებს აღკვეთოს იაპონიის კომპანიების მტაცებლური მოქმედება, რომლებიც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძარცვავენ ინდონეზიის ზღვის რესურსებს.

ავიწროებენ მშრომელებს

მაპუტუ. **საოგებლობენ რა იმით, რომ რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ არსებობს კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის დაცვის შესახებ, მსხვილი ფერმერული, მეურნეობების მფლობელნი უბოდიშოდ ავიწროებენ აფრიკელ მშრომელებს,** როგორც ოიპანესბურგის გაზეთი „რანდ დეილი მეილი“ იუწყება, ახალი წლის დამლეგს ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ასობით სოფლის მშრომელმა არ მიიღო გასამრჯელო. ფერმერებმა თავი იმართლეს, უბრალოდ... „დაგვავიწყდა“ მათთვის ფულის გადახდაო.

● ᲒᲬᲠ-ᲐᲨᲨ

ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი. **დამთავრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერობის კანდიდატის ბ.—ი. ფოგელის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.** თეთრ სახლში გაიმართა მისი შეხვედრა პრეზიდენტ რ. რეიგანთან. ბ.—ი. ფოგელმა მოლაპარაკება გამართა აგრეთვე სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან, თავდაცვის მინისტრთან კ. უაინბერგერთან და შეიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორთან ი. როსტოუსთან.

ბ.—ი. ფოგელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ შეხვედრების დროს მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო დასავლეთ ევროპაში მზარდ შეშფოთებას იმის გამო, რომ არ წყდება გამალებული შეიარაღება. „მე ვუთხარი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომ ჩემს ქვეყანაში, ევროპაში, ევროპის სხვა ქვეყნებში სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს დიდ შეშფოთებას გამალებულ შეიარაღებასთან და ბირთვული კატასტროფის საფრთხესთან დაკავშირებით,“ —განაცხადა დასავლეთგერმანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ რ. რეიგანთან შეხვედრის შემდეგ.

მოლაპარაკების დროს განიხილეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საგაჭრო-ეკონომიკური უთანხმოების საკითხი.

● ᲐᲨᲨ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

გეგმავენ სამხედრო ტექნოლოგიის გადაცემას

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ვაშინგტონში იაპონიის პრემიერ-მინისტრის ი. ნაკასონეს მომავალი ვიზიტის დროს, რომელიც ივნვარში უნდა გაიმართოს, დაგეგმილია მთელ რიგ შეთანხმებათა დადება, რომლებიც იაპონიას შეხაძლებლობას მისცემენ გადასცეს შეერთებულ შტატებს თავისი სამხედრო ტექნოლოგია.** ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ამგვარი ტექნოლოგიის გადაცემას მოჰყვება იაპონიისა და ამერიკის სამხედრო ტექნიკის სტანდარტიზაცია და ახალ სახეობათა იარაღის ერთობლივი შემუშავება.

იაპონიის სამხედრო ხარჯები მიმდინარე საფინანსო წელს 11,7 მილიარდ დოლარს შეადგენს, მომავალ საფინანსო წელს კი, მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, ეს ხარჯები ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით 6,5 პროცენტიდ გაიზრდება.

სამუშაო ადგილები რაკეტების ნაცვლად

ჰ. მისის განცხადება

ბონი. **გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰერბერტ მისმა გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა დათხოვოს ბუნდენსტაგის ახლანდელი შემადგენლობა და მოაწყოს პარლამენტის ვადამდე არჩევნები.**

„თვალისწინებენ რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის მშრომელი ფენების მშვიდობისა და დასაქმების პრობლემების გამო ფდდ შეშფოთებას, დასავლეთგერმანელი კომუნისტები წინასაარჩევნო ბრძოლას აწარმოებენ ლოზუნგით „სამუშაო ადგილები რაკეტების ნაცვლად!“, —ხაზგასმულია განცხადებაში. გერმანელთა კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა კომუნისტებს მთელი ძალ-ღონე მოახმაროონ იმას, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს შექმნან ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული ძალების გაძლიერებას.

გერმანელთა კომუნისტური პარტია იბრძოლებს იმისათვის, რათა ყველა დემოკრატი დაარწმუნოს, — რომ გერმანელთა კომუნისტური პარტია პარლამენტისგარეშე მოძრაობის გამაერთიანებელი ფაქტორია, აღნიშნა ჰ. მისმა. გერმანიის კომუნისტური პარტიის მომხრეთა ხმები, ეს არის ქვეყნის დემოკრატიული ძალების გაძლიერების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის მომხრეთა ხმები, განაცხადა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ.

● ᲒᲬᲠ-ᲐᲨᲨ

სატურნირო ორბიტა

ფიბუარული ციბურამბა. ჩელიაბინსკში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში მოეცალვათა შორის უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები ნ. ბელტემიანოვა და ა. ბუკინი. ვერცხლის მედლებიც მოსკოველებმა მოიპოვეს—ს. ვოლოდინსკაიამ და ა. სვინინმა. ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ ნეზპროპეტროვსკელები ნ. კარამიშევა და რ. სინიცინი. ეაქთა ერთეულებში საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ ა. ფადეევი (მოსკოვი), ი. ბობრინი (ლენინგრადი) და ვ. ეგოროვი (ხარკოვი). ქალთა შორის ყველას აჯობა ე. ვოდორეზოვამ (მოსკოვი). მეორე ადგილზე გამოვიდა ა. კონდრაშოვი (მოსკო�o), მესამეზე — ა. ანტონოვა (ლენინგრადი).

კალაბაზური. გაიმართა ეაქთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-ლენინგრადის „სპარტაკი“— 91:81, მინსკის რტი-კი ეკ ი ს „სტროიტელი“ — 63:71, ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 88:92. **დღეს თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს ლენინგრადის „სპარტაკს“.**

ჩოგბურთი. მოსკოვში გაიმართა სამეფო თასის გათამაშების (ევროპის ეაქთა გუნდური ჩემპიონატი) მორიგი მატჩი. სსრ კავშირის ნაკრებმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. გაიმარჯვა სტუმრებმა ანგარიშით 2:1.

ფეხბურთი. ლენინგრადში მიმდინარე ფიფას პირველი ვიცეპრეზიდენტის ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ეაბუკთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრკ II-აშშ — 1:2. საფრანგეთი-ფგრ .— 5:2, სსრკ-ჩეხოსლოვაკია — 3:1.

ამჯერად ლინარესში

11-26 იანვარს ლინარესში (ესპანეთი) გაიმართება მეორე ტრადიციული სუპერტურნირი. პირველი ასეთი შეჯიბრება ამ ქალაქში 1981 წელს მოეწყო და მსოფლიო ჩემპიონის კარპოვის გამარჯვებით დამთავრდა. ესპანეთში 12 უძლიერესი დიდოსტატი იისპარეზება. ესენი არიან კარპოვი, ტალი, პოლუგაევსკი, სპასკი (ყველანი საბჭოთა კავშირი), ტიმანი (ჰოლანდია), ლუბოევიჩი (იუგოსლავია), მაილსი (ინგლისი), ანდერსონი (შვეიცარია), ლარსენი (დანია), ჰიუბნერი (ფგრ), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და სეირავანი (აშშ). ესპანეთისა და იუგოსლავიის საეადრაკო ფედერაციების შეთანხმებით სუპერტურნირები ლინარესსა და ბუგოინოში (იუგოსლავია) მორიგეობით ეწყობა. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად 12 უძლიერესი დიდოსტატის შეჯიბრებას ბუგოინო უმასპინძლებს.

„საგანგებო შემთხვევა: მიზეზი?“

ეს მოხდა ნატახტარ-ცხაკაიას გზის 35-ე კილომეტრზე. ორი ავტობუსის შეჯახებას მსხვერპლი, მძიმე სახიჩრობა მოჰყვა.

ვინ არის დამნაშავე? ამ შეკითხვაზე პასუხი გაგვცეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის წევრებმა, რომელსაც თავმჯდომარეობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია.

საქმე ასე იყო. თბილისის №2662 ავტოკოლონის ავტობუსზე ხელშეკრულებით მიმაგრებული იყვნენ მძღოლები მ. მოწონელიძე და გ. გიორგობიანი. პირველი მათგანი იმ დღეს ემსახურებოდა თბილისის №48 მარშრუტს. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ იმის ნაცვლად, რომ გარაჟში დაბრუნებულიყო, მოწონელიძე თავის შემცვლელთან წავიდა. აქ გაშლილი სუფრა დახვდა. საკმაოდ შეზარხოშებული მოწონელიძე ავტობუსით უნებართვოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს მიმართულ ებით. მშვიდობიანად მხოლოდ 35-ე კილომეტრს მიაღწია...

სამუშაო ჯგუფმა დაადასტურა: №2662 ავტოკოლონაში მოშლილია შრომის დისციპლინა, დაბალ დონეზეა აღმზრდელობითი მუშაობა. სასჯელი მკაცრი იყო. ექსპლოატაციის უფროსი ნ. დათუნაშვილი, გარაჟის უფროსი რ. გაფრინდაშვილი, მორიგე დისპეტჩერი გ. კორდიევი და მორიგე მექანიკოსი ო. მესხი განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. დაისაჯა აგრეთვე თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ზოგიერთი ხელმძღვანელი.

ეს შემთხვევა სერიოზული გაფრთხილება უნდა გახდეს იმ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებისათვის, სადაც ჯერ კიდევ ლაზად გრძნობენ თავს შრომის დისციპლინის დამრღვევნი, თავზეხელაღებული მძღოლები.

(საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ძალვნება ბოლშევიკური პარტიის მგზნებარე მებრძოლის ხსოვნას

ამ დღეებში სქარბველოს საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს სურენ სპანდარის ძე სპანდარიანის — ლენინური სკოლის გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერის, ნიჭიერი ორგანიზატორისა და პროპაგანდისტის დაბადების 100 წლისთავს.

ს. ს. სპანდარიანი, რომელიც დაიბადა თბილისში ინტელიგენტის ოჯახში, უკვე 18 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში. მგზნებარე რევოლუციონერის ხანმოკლე ცხოვრება აღსავსეა ისეთი მკაფიო მოვლენებით, როგორიც არის 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა, მუშაობა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების განტვიცებისთვის, პუბლიცისტური გამოსვლები პარტიულ პრესაში, 1912 წლის პრაღის პარტიული კონფერენციის მომზადება და მოწვევა, რომელზეც იგი შეხვდა და გაიცნო ვ. ი. ლენინს.

საპატიმროებნი და გადასახლებამ შეარყიეს ს. ს. სპანდარიანის ჯანმრთელობა, იგი პროლეტარიატის გამარჯვებამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

ს. ს. სპანდარიანის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა.

სესია შესაკალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ.

ლენინური გვარდიის მგზნებარე მებრძოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მიხარაძემ, სურენ სპანდარიანის, როგორც პუბლიცისტის შესახებ ილაპარაკა გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორმა ა. ა. ბლრკიანმა.

ს. ს. სპანდარიანის ვაჟმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა სტეფანე სპანდარიანმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს, მადლობა გადაუხადა სესიის მონაწილეებს, რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას, რომ საქართველოში წმინდათაწმინდად ინახავენ გამოჩენილი რევოლუციონერის ხსოვნას.

სესიის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს კიროვის ქუჩის №12 სახლის მემორიალური დაფა, სადაც დაიბადა ს. ს. სპანდარიანი.

(საქინფორმი).

ტექსტოლოგიის საკითხებზე

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ლიტერატურათმცოდნეთა საკავშირო კონფერენცია, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ორასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი და მეცნიერი თანამშრომელი. საბჭოთა ლიტერატორების ამ დიდ ფორუმზე საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკო ყიასაშვილი. იგი მიწვეული იყო კონფერენციაზე როგორც შექსპირის თხზულებათა პირველი სრული ქართული გამოცემის მთავარი რედაქტორი. თავის მოხსენებაში მან ილაპარაკა ამ ხუთტომეულის შედგენის, რედაქტირებისა და კომენტირების მეცნიერული პრინციპების შესახებ. მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო ივანე მაჩაბლის უდიდესი ღვაწლი ქართულ შექსპირიანაში, ილაპარაკა გ. ერისთავის მიერ თარგმნილ „რომეო და ჯულიეტას“ ხელნაწერზე, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტში აღმოჩნდა, მაჩაბლის ტრადიციის გამგრძელებლებზე, მთელ რიგ ტექსტუალურ სიძნელესა და ზაფ შორის ინგლისური საკუთარი სახელების ქართულად (ისევე როგორც რუსულად) გადმოტანის მეტად საჭირბოროტო პრობლემაზე. კონფერენციის სექციის თავმჯდომარის, პროფესორ მიხეილ ურნოვის ცნობით, ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ცოცხლად წაკითხული მოხსენება იყო, რომელმაც კონფერენციის მონაწილეთა წინაშე არა მარტო ქართული გამოცემისათვის მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური პრობლემა წამოაყენა.

(საკ. კორ.).

მღვიმეში სიურპრიზისათვის

რაჭა საუკუნის წინათ ჩაფერფლილი კოცონი კვლავ გაღვივება აფხაზეთის სოფელ ბარმაშის მკვიდრმა, სამოცი წლის კომეურნემ დიკრან კაბამ. ... ძნელად მისაგებამ „კოცონ“, სადაც, მეცნიერების აზრით, მე-12 საუკუნეში ხალხი ცხოვრობდა, იგი მოვიდა იმ მოსკრველი ალპინისტების ჯგუფთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ ეკერესტის დაპყრობაში. ჯგუფის ხელმძღვანელმა, ალპინიზმში ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა ა. ბიჩკოვმა თქვა:

— იქ, ევერესტზე, გვესმოდა, რომ ყველაზე რთული მარშრუტით მივდიოდით, აქ, კავკასიონის მთებში გვიზიდავდა გამოუცნობი და შეუცნობელი, რაც დაკავშირებულია ადამიანთან, მის წარსულთან.

მღვიმეში ალპინისტებმა აღმოვაჩინეთ თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები, კოცონის კვალი და ა. შ.

მღვიმის თაღებქვეშ ჰკიდია სტალაგმიტები. სამხრეთის კედლები აგებულია დიდი თლილი ქვებისაგან, რომლებიც დუღაბით არის შელესილი.

„კოშკში“ ოთხი სართულია, ათამდე ფანჯარა, ეტეკი 40-50 კაცი, შესაძლოა აქ, მტრის შემოსევისაგან თავს აფარებდა მთელი საგვარეულო.

ეს ლეგენდებით მოცული მღვიმე ციცაბო კლდეზე, რომელიც მთის მდინარე მჭიშთას გადმოსცქერის, აფხაზეთში სამთო ტურიზმის კიდევ ერთი ობიექტი გახდება.

(საქინფორმი)

11 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მუსიკალური ტელეშოუ „ალბომი ბავშვებისთვის“ — „სათაგური“. 10.25 — მხატვრული ტელეფილმი. 12.00 — ტელეფილმი „აკრობატი თამარ ლიაზგინა“. 12.25, 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.55 — უკრავს პ. ალექსეევის სახელობის ფაბრიკის კულტურის სახლის სასულე ორკესტრი. 17.15 — „ცოცხა ბალაა“. სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი. 18.00 — ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „ოქროს მამალი“. 18.30 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 19.00 — ხალხური მელოდიები. 19.15 — საუბრები ალკოჰოლიზმზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ყოველ ნახატში მზეა. 20.15 — ტელენარკვევი „ფინეთი“. 20.35 — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს ელექტრომუსიკალურ საკრავთა ანსამბლის გამოსვლა. 21.10 — „ფიალი ხალხის სამართლე“. დოკუმენტური ტელეფილმი „ხალხს დეპუტატები“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ფესტივალები... კონკურსები... კონცერტები...“ 23.50 — დღეს მსოფლიოში. 00.05 — ერთი კვირის სპორტული ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 9.55, 14.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 — ბუნება. II კლასი. ზამთარი ტყეში. 10.15 — ფრანგული ენა. 11.05 — რუსული ენა. 11.55 — ფიზიკა. მე-9 კლასი. 12.05 — საშაადრაკო სკოლა. 13.10 — ჯ. ბ. გორკი. „ბავშვობა“. მე-6 კლასი. 14.20 — მასწავლებელს — მუსიკის გაკვეთილი. I კლასი. 15.20 — ჯ. სვიფტი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 16.20 — ახალი ამბები. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ბილი ნებისა, პატარების!“ 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „გაფრთხილდეთ ვალა“.

თბილისი

**პ